# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 27 აპრილი, 2011 წელი.

№77 (6688)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.


**საზოგადოებაში მატულობს ხელისუფლების რადიკალური მეთოდებით შეცვლის მომხრე პოლიტიკური ძალების მხარდამჭერთა რაოდენობა. დაგროვილი უკმაყოფილება ნებისმიერ დროს შეიძლება გადაიზარდოს შიდა სამოქალაქო დაპირისპირებაში...** 4

**სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ისა**



2 3

## დიახ, უზენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა

ტკბილ-მწარე სააღდგომო ფიქრები

**იაპონია:**

## გზა აღდგენისა და ხელახლა დაბადებისკენ



4



## „უხილავი“ კი არა, სავსებით კონკრეტული 5

## მოსკოვი აფხაზეთის წინაშე თავის ქართველებს არ დაიცავს 8

BBC RUSSIAN.com

**სააკაშვილს კორუფცია დაექარგა...** 6

**ოკუპანტებმა ბლოკ-პოსტზე ვიდეო-კამერები დაამონტაჟეს** 5

**რომ მნა არ წახდეს, მროც არ დაეცეს...** 9

**რატომ თრთიან გალაქტიონის ვერხვები?** 7

**ვინ იმალება მთვარის ბნელ მხარეზე?** 9



**სააღდგომო ეპისტოლე უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II**

# დიახ, უზენაესი ჭეშმარიტებისადმი

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

გუგუნებენ ეკლესიათა ზარები და მსოფლიოს ამცნობენ, რომ დადგა დღე დღესასწაულთა დღესასწაულისა.

„დაემხო ძალი, პირველ სისხლითა მთრვალი“, შეიმუსრა ჯოჯოხეთი, განქარდა ბნელეთის ძლიერება და კაცობრიობა გათავისუფლდა ეშმაკის ტყვეობისაგან. „სადა არს, ჯოჯოხეთო, ძლევაი შენი? სადა არს, სიკვდილო, საწერტელი შენი?!“

ქრისტე აღდგა!

ეს საოცარი სიტყვები ანგელოზის მიერ პირველად მენელსაცხებლე დედებს ეხარათ, დედებმა მსწრაფლ აუწყეს მოციქულებს, მოციქულებმა – თავიანთ სამწყსოებს და, აი, უკვე მრავალი საუკუნეა, მილიონობით ადამიანი ხმობს: ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

მაინც რას ნიშნავს უდიდესი საიდუმლოებით მოცული ეს სასწაული, ანუ რა არის მიზეზი ჩვენი ასეთი ბედნიერებისა?

სამყაროს აქვს მხოლოდ ერთი საწყისი – ყოვლადძლიერი, ყოვლადკეთილი, ყოვლადბრძენი, ყოვლისშემოქმედი ღმერთი – ყოვლადწმიდა სამება, რომელიც ყველგან არის და ყოველივეს აღავსებს მადლითა თვისითა. იგი თავისი მარადიული ნეტარების წიაღისაკენ იზიდავს მთელ სამყაროს და ყოველივე ქმნულს, რომელიც, თავის მხრივ, მიისწრაფვის მისკენ და ადიდებს მას.

ფსალმუნში ვკითხულობთ „აქებდით უფალსა ცათაგან, აქებდით მას მაღალთა შინა; აქებდით მას ყოველნი ანგელოზნი მისნი, აქებდით მას ყოველნი ძალნი მისნი; აქებდით მას მზე და მთოვარე, აქებდით მას ვარსკულავნი და ნათელნი; აქებდით მას ცანი ცათანი და წყალნი ზესკნელს ცათანი... აქებდით უფალსა ქუეყანით ვეშაპნი და ყოველნი უფსკრულნი; ცეცხლი, სეტყუაი, თოვლი, მყინვარი, სული ნიავქარისაი, რომელნი ჰყოფვენ სიტყუასა მისსა; მთანი და ყოველნი ბორცუნი, ხენი ნაყოფიერნი და ყოველნი ნაძუნი; მხეცნი და ყოველნი პირუტყვნი, ქუეწარმავალნი და მფრინველნი ფრთოვანნი“ (ფს. 148, 1-4,7-11).

ამ ღვთაებრივ ჰარმონიას ურჩობისა და ამპარტავნების გამო თავისი ნებით განეშორა პირველქმნილი ადამიანი; თუმცა შემოქმედს მასზე ზრუნვა არ მიუტოვებია. ეს მდგომარეობა ბასილი დიდმა ასე გამოხატა: „შენ მარადის მწყალობ და მე განგარისხებ, შენ სინანულად მომიწოდებ და მე ურჩ გექმნები, შენ მხადი და მე გელტვი, ესრეთ ყოვლითურთ წინააღმდგომ შენდა არს ცხოვრებაი ჩემი“.

და აი, თითქმის 2000 წლის წინ მოხდა ის, რასაც ვერავინ წარმოიდგენდა: ყოვლადდაუტევნელმა განკაცება ინება და კაცობრივი ბუნებით სიკვდილს დაექვემდებარა, ჯოჯოხეთში შთავიდა, რათა მართალთა სულნი ეხსნა და კაცობრიობისათვის დახშული ზეციური კარიბჭენი აღეხვნა. რა შეედრება იმ განძს, რაც მან ამ წუთისოფელში დროებით მყოფ თითოეულ ჩვენგანს გვიბოძა?! როგორ გამოვხატოთ ჩვენი მადლიერება ამ გამაოგნებელი თავგანწირვის, სიყვარულისა და მოწყალებისადმი?!

უფალი ჩვენგან არაფერს ითხოვს, ოღონდ ჩვენივე გადარჩენისთვის გვთავაზობს, ჩავჭიდოთ ხელი მის მხსნელ მარჯვენას და ჩვენი გული და სული მისკენ მივმართოთ, რათა ღვთის მადლით ცოდვის ჭაობს განვეშოროთ და შიგ არ დავინთქათ. ამ სასწაულთა სასწაულს ვზეიმობთ ახლა. ამიტომაც სიხარულითაა მოცული დედამიწა; ჩვენს გამო ხარობს ყოვლადწმიდა სამება და ანგელოზთა დასი, რადგან ხორციელი სიკვდილი აღარ არის მხოლოდ ჯოჯოხეთის კარიბჭე, არამედ იგი მორწმუნეთათვის წარუვალ ნეტარებაში აღმყვანებელ საშუალებად იქცა. ამიერიდან ესა თუ ის პიროვნება ან ეშმაკის და მისი ანგელოზების ხვედრი შეიქმნება და მარადიული ტანჯვისათვის გაიწირება, როგორც ეს ადრეც იყო, ანდა უფლისა და ანგელოზთა წიაღში დამკვიდრდება. სხვა არჩევანი არ არსებობს.

ბუნებრივია, ყველას სამოთხეში დამკვიდრება სურს, მაგრამ ეს უშრომლად არ მიიღწევა; მთავარია, ჩვენი ცხოვრების მიზნად სხვისთვის მსახურება დავისახოთ, რომ ქრისტეს მიმბაძველნი გავხდეთ.

პაისი ათონელი წერს: „თუ ადამიანი არ ფიქრობს მეორე ადამიანზე, არ გამოდის თავისი „მე“-დან და გამუდმებით თავისი თავის გარშემო ტრიალებს, ... ის იმ ღერძს მიღმაა, რომელიც ქრისტეა“.

წმინდა მამები იმასაც გვასწავლიან, რომ აბსოლუტურად ბოროტი და ცოდვილი კაცი არ არსებობს და რომ ყველაზე უარეს მათგანშიც კი არის რაღაც ნაწილი სიკეთისა. მაგ., თუ მას გულწრფელად უყვარს შვილები, მშობლები ან ოჯახის სხვა წევრები, უყვარს თუნდაც ცხოველები ან ბუნება, ე. ი. მასში არის ის ღვთაებრივი ნაპერწკალი, რომელიც ათბობს და ანათებს მის დაბნელებულ სულს; ყველას ვალია, ეს ნაპერწკალი საკუთარ თავში გააღვივოს და ღვთაებრივ ცეცხლად აქციოს.

**რა თქმა უნდა, არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული. ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი სჭარბობს.**

საერთოდ, ქრისტიანის ცხოვრება საკუთარ თავთან ბრძოლაა, გულის სიწმინდისათვის ზრუნვაა; ეს არის სინანული და მცდელობა იმისა, რომ ღმერთი მოვიძიოთ და ჩვენს გულებში გავამეფოთ. გული არის სულის სავანე, სული კი – ერთგვარი ჭურჭელი, რომელშიც ღვთის მადლი იღვრება. მადლის სიდიდე ჩვენს პიროვნულ ღვაწლზე და ძალისხმევაზეა დამოკიდებული. ბოროტისაგან ჩვენი გულისა და სულის მთავარი დამცველი ჩვენი სინდისია. სინდისი არის ღვთის ხმა და იგი ყოველთვის გვიბიძგებს სწორი ქმედებებისაკენ. მთავარია, ყური დავუგდოთ მას. მაგრამ ადამიანთა ნაწილი სწორედაც რომ საპირისპიროდ იქცევა, – ცდილობს, ჩაახშოს იგი; სხვის დასანახად ვითომ ემსახურება უფალს, გული კი განშორებული აქვს ღვთისაგან. მაცხოვარი ბრძანებს: „არა ყოველმან, რომელმან მრქუას მე: უფალო, უფალო! შევიდეს იგი სასუფეველსა ცათასა, არამედ რომელმან ყოს ნებაი მამისა ჩემისა ზეცათაისა. მრავალთა მრქუან მე მას დღესა შინა: უფალო, უფალო, არა სახელითა შენითა ვწინაისწარმეტყველებდითა?.... და სახელითა შენითა ძალნი მრავალნი ვქმენით? მას ჟამსა ვრქუა მათ, ვითარმედ: არა გიცნით თქუენ, განმეშორენით ჩემგან ყოველნი მოქმედნი უსჯულოებისანი“ (მათე 7,20-23). ღმერთმა გვიხსნას ამ მდგომარეობისაგან.

და მაინც როგორ მივხვდეთ, ჩვენს გულში ვის უდგას ტახტი? ამის პასუხს სახარება იძლევა: გულში, სადაც ცოდვა და ეგოიზმი ბატონობს, ბობოქრობს ღვარძლი, ავსიტყვაობა, შური, შუღლი, ამპარტავნება და სხვა ვნებანი, იქ უფლის მადლი არ მკვიდრობს. მაგრამ არის გული სიყვარულითა და სიკეთით სავსე, მიმტევებელი, სამართლიანი, მოწყალების გამცემი, სხვაზე მზრუნველი....

ასე რომ, ძნელი არ არის გავერკვეთ, ვისი მსახურნი ვართ და, ვიდრე ჯერ კიდევ დრო გვაქვს, გადავდგათ გადამრჩენელი ნაბიჯები. საერთოდ, უფალი ადამიანებს სხვადასხვა ნიჭს და, აქედან გამომდინარე, სხვადასხვაგვარ პასუხისმგებლობებს აკისრებს. ზოგს ერთ ტალანტს აძლევს, ზოგს – ორს, ზოგს – ხუთს ან ათს; პასუხისმგებლობაც შესაბამისია: ვისაც ერთი ტალანტი ებოძა, მას ათი ტალანტისა არ მოეთხოვება; მსუბუქია მისი ჯვარი და უფლის წინაშე მისი ვალდებულებაც, ხოლო ვისაც მეტი მიეცა, მას მეტიც მოეთხოვება. მაგალითად, ზოგიერთს მხოლოდ ოჯახზე ზრუნვა მართებს, ესაა მისი პასუხისმგებლობა, ნაწილს, – ადამიანთა გარკვეული ჯგუფის, სოფლის ან ქალაქის ხელმძღვანელობა; სხვებს კი მთელი ქვეყნის ტვირთი აწევთ და ამ დონის მსახურება ევალებათ.

იერარქიის არსი ქრისტიანობაში, სხვებთან შედარებით, აბსოლუტურად განსხვავებულია და იგი ქვემდგომებისადმი უანგარო სიყვარულსა და მათთვის ზრუნვას გულისხმობს.

უფალი ბრძანებს: ვინც თქვენს შორის მოისურვებს უფროსობას, ის იქნება თქვენი მსახური, ხოლო ვინც მოინდომებს პირველობას, – ყველას მონა; და ამის უდიდესი და უთვალსაჩინოესი მაგალითი, პირველ რიგში, თვითონ მოგვცა. ასეთი დამოკიდებულება მოეთხოვება ყველას, ვინც თავს ქრისტიანად მიიჩნევს.

მსოფლიოში დღეს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებების და დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი პიროვნებათა თანასწორობისა და ღირსების დაცვისა სწორედ ქრისტიანულ სწავლებას ეყრდნობა, მაგრამ ზოგიერთთათვის ეს ცნებები უკვე განსხვავებულ შინაარსს ატარებს.

რა თქმა უნდა, არსებობს არაქრისტიანული იერარქიული ურთიერთობაც, რასაც წმინდა მაქსიმე აღმსარებელი ტირანიას უწოდებს და რაც ზემდგომთა ბატონობასა და ძალადობაზე და ქვეშევრდომთა მონურ ყოფაზეა დამყარებული. ჩვენ გარშემო, სამწუხაროდ, ურთიერთმიმართების არაქრისტიანული წესი სჭარბობს.

მაგალითად, ავიღოთ ქრისტიანული ოჯახი; ეს არის მცირე ეკლესია, რომელიც დაფუძნებული უნდა იყოს, პირველ რიგში, ღვთისადმი და შემდეგ ერთმანეთისადმი გამოვლენილ ჭეშმარიტ სიყვარულსა და პატივისცემაზე, ხოლო, თუ მათ ეს საფუძველი გამოეცალათ, თავს იჩენს ტირანია, რაც ხშირი კონფლიქტის საფუძველი ხდება. ნაცვლად იმისა, რომ თანამედროვე საზოგადოებას ეზრუნა ოჯახში ქრისტიანული ღირებულების დასამკვიდრებლად, დაიწყეს უკვე დანგრეული ურთიერთობების ხელოვნურად მოგვარება, რაც შედეგს ვერ გამოიღებს და ცოლის და ქმრის ურთიერთობას კიდევ უფრო არასწორი გზით წარმართავს.

ოჯახის სიმტკიცისთვის ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს თუნდაც ელემენტარული სოციალური პირობებისა და ზნეობრივი გარემოს შექმნას. პირველ ფაქტორს ძირითადად ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განსაზღვრავს. ვფიქრობთ, სახელმწიფოსთვისაც და ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისთვისაც სასარგებლო იქნება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ზრუნვა. მე ადრეც მითქვამს და კვლავაც გავიმეორებ, ყოვლადაუცილებელია ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, ადგილობრივი ჯიშების შენარჩუნება და, რა თქმა უნდა, მიწისადმი ხალხისათვის ინტერესის დაბრუნება. კარგი იქნება, თუ ამ პროცესს მთავრობა მხარს დაუჭერს

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

# თავდადება არის ქართული იდეა



და დოტაციური და მრავალწლიანი შეღავათიანი კრედიტებით გაამაგრებს, რაც დასავლეთის ქვეყნებში (მიუხედავად განვითარებისა) დღესაც ხორციელდება. რაც შეეხება ზნეობრივ გარემოს, ეს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებაზე, მის ორიენტაციაზეა დამოკიდებული.

სავსებით ნათელია, რომ ძალადობრივი, ნიჰილისტური და უხამსი ფილმებითა და გადაცემებით აღზრდილი თაობა ჯანსაღ ატმოსფეროს ვერ შექმნის და ოჯახსაც მნიშვნელოვნად დააზიანებს. არადა, როგორი მონდომებაა, რომ უძლიერესი ფსიქოლოგიური საშუალებით – მასმედიით ბოროტება და ცოდვითი ცხოვრება აღზევდეს, ვულგარიზებული, ტექნოლოგიური საზოგადოება ჩამოყალიბდეს და მის ბატონ-პატრონად ფული იქცეს, რომ ადამიანებმა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებმა, სწორი ორიენტირები დაკარგონ და ქრისტეს მცნებები წარსულის გადმონაშთად მიიჩნიონ. რა თქმა უნდა, ეს ყოველივე მოქმედებს ხალხზე, დღეს უკვე ადამიანებს გაცილებით უადვილდებათ ოჯახის დანგრევა, თავისუფალი ურთიერთობების დამყარება, მამათმავლობის ჩვეულებრივ მდგომარეობად წარმოჩენა, ოჯახური ანომალიების გახმაურება... არავინ ასწავლის თუნდაც იმას, რომ აბორტის გაკეთება და საკუთარი შვილის სიცოცხლის ხელყოფა ან ე.წ. „სუროგატი დედების“ ინსტიტუტის შექმნა“ უმძიმესი დანაშაულია, რომლის გამოსყიდვა ადვილი არ არის.

ძალიან სამწუხაროა, რომ ხდება ეგოისტური აზროვნების წახალისება. ასეთი ადამიანები მოყვასს მოიაზრებენ მხოლოდ თავისი მიზნების განხორციელების საშუალებად, რაც მადლიერების გრძნობასაც გამორიცხავს და, ამასთან, აყალიბებს ისეთ დამოკიდებულებას, როცა სხვისი გამეტება და სიცოცხლის ხელყოფა ეადვილებათ. თუმცა ცოდვითი ცხოვრების მიმდევართა და პროპაგანდისტთა შორისაც ვხედავ ბევრს ისეთს, რომელნიც, უფლის წყალობით, შეცვლიან თავის ცხოვრების წესს და ჭეშმარიტი სიკეთის მთესველნი გახდებიან. ასეთი ზეწოლის მიუხედავად, ჩვენი საზოგადოებისა და ახალგაზრდების დიდი ნაწილი, მათ სასახელოდ უნდა ვთქვა, რომ მაინც ინარჩუნებს ტრადიციულ ღირებულებებს და ქართული იდეის მატარებელნი არიან. საერთოდ, ყველა ერს თავისი იდეა აქვს.

რა არის ჩვენი იდეა და რაში ვლინდება იგი?

ეს შეიძლება გამოვთქვათ ერთი ყოვლისმომცველი სიტყვით – ჭეშმარიტების მსახურება, რაც, პირველ რიგში, გამოიხატა უფლისადმი ჩვენს უდიდეს სიყვარულში, მისდამი ერთგულებასა და თავგანწირვაში.

დიახ, უზენაესი ჭეშმარიტებისადმი თავდადება არის ქართული იდეა, ამიტომაც გვიანდერძა წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალმა: „ეძიებდით ქრისტესთვის სიკვდილსა!“ და მართლაც, ჩვენი ერი ჯვარს ეცვა ჯვარცმული ღვთისთვის. პეტრიწონის (ბულგარეთი) ქართული მონასტრის წარწერაც ამაზე მიგვანიშნებს: „ქართველნი ვართ ნათესავნი მხნენი და მარადის ჭირვეულსა ცხოვრებასა ჩვეულნი“.

ქართული იდეის განვრცობის არეალი გიორგი მერჩულემ ასე განსაზღვრა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“, ხოლო, ენასა ამას შინა „ყოველი საიდუმლო დამარხულ არს“ (იოანე-ზოსიმე). აქ, არ იგულისხმება ენა, როგორც მხოლოდ მეტყველების საშუალება, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ერის მსოფლმხედველობის გამოვლინება, რომელიც თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, არის ერთი და ერთიანი. ქართველისათვის პატრიოტიზმიც ღვთისმსახურებაა. იგი სამშობლოს პატრონობს და საკუთარი სისხლის ფასად იცავს, რადგან ამაში ხედავს ღვთის მიერ დაკისრებულ პასუხისმგებლობას. მას სხვისი არაფერი უნდა, მაგრამ დროებით დაკარგულ თავის ტერიტორიებსა და ხალხს კი ყოველთვის თავისად მიიჩნევს. ჩვენი სულისკვეთება კარგად ჩანს ამ სიტყვებში: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“. დიახ, ქართული იდეისთვის უცხოა ექსპანსია და აგრესია. ამიტომაცაა მთელი ჩვენი ისტორია უანგარობის, გულწრფელობის, ვაჟკაცობისა და ზნეობრიობის გამოხატულება.

ქართულ იდეაში ასევე სრული სისავსით არის განხორციელებული ქრისტიანული მცნება მოყვასის სიყვარულისა. ჩვენ სისხლში გვაქვს გამჯდარი ეს დამოკიდებულება: „ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული – გზად და ხიდად“ (რუსთაველი), რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ჭეშმარიტებისა და სიკეთის მსახურებას გულისხმობს. ბოროტ საქმეში მეგობრობა და ერთგულება კი ეშმაკთან თანაზიარებაა. ქართულმა იდეამ საუკუნეთა მანძილზე ჩამოაყალიბა ჩვენი ხასიათი, ჩვენი კულტურა და ყოფა.

ქართული იდეა არის იმ ჭეშმარიტი ღვთისმსახურების გაგრძელება, რომელიც უფალმა დაუდგინა ადამს, ნოეს, აბრაამს, მოსეს... ოღონდ ეს არის ახალ ისრაელად სახელდებული ერის მსახურება (ცხოვრების წესი) ზეციური იერუსალიმის დასამკვიდრებლად. ასეთია ჩვენი წინაპრების მიერ არჩეული გზა; გზა ძნელი, მაგრამ საამაყო, ვიწრო, მაგრამ გადამრჩენელი, დროებითი ტკივილით დამძიმებული, მაგრამ ქრისტესმიერი მარადიული სიხარულით სავსე. სწორედ ამ სულისკვეთების მქონე პიროვნებები ქმნიან ღვთისმშობლის წილხვედრ ქართველ ერს, ხოლო ის ქართველები, რომელნიც ასეთი წესით არ ცხოვრობდნენ და არ ცხოვრობენ, თავისთავად განეშორებიან ან უპირისპირდებიან მის წიაღს და ქართული იდეის ნაწილად ვერ მიიჩნევიან. ისინი არიან ვაზის ნასხლავნი, რომელთა შორის სიცოცხლე არ არის. ხაზგასმით უნდა ითქვას ისიც, რომ ქართული იდეისათვის მარტო გენეტიკურ ნიშანს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. გავიხსენოთ მეფე ლუარსაბ დიდის ერთ-ერთი შვილი დავითი და მეფე თეიმურაზ I. ეგოისტური და ანგარებიანი ინტერესებიდან გამომდინარე, დავითი ღვიძლ ძმასაც დაუპირისპირდა და საქართველოსაც, სარწმუნოებაც შეიცვალა და დაუდ-ხანად ქცეული მტრის ინტერესების დამცველი და მათი იდეის განმხორციელებელი გახდა. მაშინ, როდესაც თეიმურაზ I რწმენისა და მამულის დაცვას დედაც და შვილებიც შესწირა და თავისი ცხოვრებაც მუდმივ ბრძოლასა და ტანჯვა-წამებაში გაატარა, ბოლოს კი ბერობაში აღესრულა; მისი ცხოვრება ხალხისთვის მისაბაძ მაგალითად იქცა.

**ჩვენ ერთი ღმერთის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და საერთო წმინდანების მიმართ ვლოცულობთ. მათი შეწევნით, ვიმედოვნებთ, მტერი ვერ გაგვთიშავს. აფხაზეთის მიტროპოლიტად კათოლიკოს-პატრიარქის დადგინებაც ჩვენი გაყოფის მოსურნეთა საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო.**

ასე რომ, ქართული სამყარო, ისევე როგორც სხვა ნებისმიერი ერის წიაღი, მხოლოდ გენეტიკური ნიშნით არ შემოიფარგლება. სწორედ ეს აზრია ჩადებული ფარისევლებისადმი თქმულ მაცხოვრის ამ სიტყვებში: „უწყი, რამეთუ ნათესავნი აბრაჰამისნი ხართ..., სიტყუაი ჩემი ვერ დაეტევის თქუენ შორის..., უკეთუმცა შვილნი აბრაჰამისნი იყვენით, საქმეთაცა აბრაჰამისთა იქმოდეთ..., თქვენ მამისა ეშმაკისანი ხართ და გულისთქმათა მამისა თქუენისათა გნებავს ყოფად; რომელი ღმრთისაგან არს, სიტყუათა ღმრთისათა ისმენს. ამისთვის არა ისმენთ თქუენ, რამეთუ არა ხართ ღმრთისაგან“ (იოანე 8, 37,39,44,47). აღვნიშნავთ იმასაც, რომ ქართული იდეის შემოქმედნი იყვნენ არაქართველნიც. მაგალითად, სპარსი რაჟდენ პირველმოწამე და ევსტათი მცხეთელი, ტომით სომეხი დიდებულის ასული შუშანიკ დედოფალი, არაბი აბო, ასურელი წმინდა მამები და სხვანი.

სწორედ ქართული იდეიდან მომდინარეობს ჩვენი ერის მრავალსაუკუნოვანი ტოლერანტობაც, რაც იყო საფუძველი აქ მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ჩვენი ჭირ-ვარამის გაზიარებისა და საქართველოსთვის მსახურებისა. საუკუნეთა განმავლობაში სხვებთან ერთად, ქართული იდეის და ქართული სახელმწიფოს თანაშემოქმედნი იყვნენ აფხაზები. ქართული სამყაროს შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი ყოველთვის იყო აფხაზეთი. ამაზე მეტყველებს აქ არსებული უძველესი ქრისტიანული ტაძრები და წარწერები, ქართველ მეფეთა ტიტულატურა. ამაზე მეტყველებს აფხაზეთში, ბედიის მონასტერში დაკრძალული ერთიანი საქართველოს პირველი მონარქის, – ბაგრატ III-ის საფლავი. ამაზე მეტყველებს ჩვენს შორის არსებული სისხლისმიერი ნათესაობა და ნათელ-მირონობა...

ჩვენ ერთი ღმერთის, ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის და საერთო წმინდანების მიმართ ვლოცულობთ. მათი შეწევნით, ვიმედოვნებთ, მტერი ვერ გაგვთიშავს. აფხაზეთის მიტროპოლიტად კათოლიკოს-პატრიარქის დადგინებაც ჩვენი გაყოფის მოსურნეთა საპასუხოდ გადადგმული ნაბიჯი იყო. მე განსაკუთრებით ვლოცულობ თქვენთვის და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულსაც განსაკუთრებით ვულოცავ ჩემს უშუალო სამწყსოს – ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიას, საქართველოს ყველა კუთხის შვილს, ვულოცავ ჩვენს მართლმადიდებელ სამწყსოს: ოსებს, ბერძნებს, ასირიელებს, აფხაზებს, რუსებს, სომხებს, იეზიდებს, აზერბაიჯანელებს, მცირერიცხოვან, მაგრამ უძველესი ისტორიის მქონე უდებს... უცხოეთში დროებით მყოფ თანამემამულეთ, აგრეთვე ტაოკლარჯეთის, ლაზეთის, ფერეიდანის, მაზანდარანის, ჰერეთის მკვიდრთ და უფალს თქვენთან ერთად შევღაღადებ: „აღდგომასა შენსა ქრისტე მაცხოვარ, ანგელოზნი უგალობენ ცათა შინა და ჩუენცა ღირს მყვენ ქუეყანასა ზედა წმიდით გულით დიდებად შენდა!“

ქრისტე აღდგა!

ჭეშმარიტად აღდგა!

სიყვარულით თქვენთვის მლოცველი

**ილია II**

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

*აღდგომა ქრისტესი*
*თბილისი, 2011 წელი*

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

მიმართვა

# საზოგადოებაში მატულობს ხელისუფლების რადიკალური მეთოდებით შეცვლის მომხრე პოლიტიკური ძალების მხარდამჭერთა რაოდენობა. დაგროვილი უკმაყოფილება ნებისმიერ დროს შეიძლება გადაიზარდოს შიდა სამოქალაქო დაპირისპირებაში...

**„სამოქალაქო საზოგადოება დემოკრატიული არჩევნებისთვის“ კონფერენციის მონაწილეთა მიმართვა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისადმი**

**მიმდინარე წლის 19 აპრილს საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ქართული აკადემიისა“ და არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით ჩატარდა კონფერენცია, რომლის მიზანი იყო საქართველოში საარჩევნო გარემოს შეფასება. განიხილა რა წარმოდგენილი საექსპერტო მოხსენებები, აგრეთვე ევროკავშირის, აშშ-ს ადმინისტრაციისა და ვენეციის კომისიის მიერ ამ თემასთან დაკავშირებული განცხადებები და მოწოდებები, კონფერენციამ აუცილებლად ცნო მიეღო საგანგებო მიმართვა საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებისადმი.**

ქალბატონებო და ბატონებო,

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება უკიდურესად მძიმეა. მასობრივად ირღვევა ადამიანის ძირითადი უფლებები. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის, ინფორმაციის საშუალებათა უზურპაციის, ელიტარული კორუფციის, პოლიტიკურად მოტივირებული სასამართლო პრაქტიკის, ოპოზიციური აზრის დევნისა და სხვა ფაქტები ყოველდღიურ რეალობად იქცა. მნიშვნელოვნად იმატა პოლიტიკურ და უკანონო პატიმართა რიცხვმა. აღნიშნული სრულად იქნა ასახული აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში. ამას ემატება ჩავარდნები საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა ტერიტორიების დაკარგვა, მატერიალური ზარალი და ადამიანური მსხვერპლი.

საერთაშორისო თანამეგობრობა მილიარდობით დოლარს ახმარს საქართველოს ეკონომიკური დახმარებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების პროგრამებს, თუმცა სახელმწიფოს მართვის დამკვიდრებული ერთპიროვნული სტილი და მანკიერი მეთოდები კიდევ უფრო აღრმავებს კრიზისს.

საზოგადოებაში მატულობს ხელისუფლების რადიკალური მეთოდებით შეცვლის მომხრე პოლიტიკური ძალების მხარდამჭერთა რაოდენობა. დაგროვილი უკმაყოფილება ნებისმიერ დროს შეიძლება გადაიზარდოს შიდა სამოქალაქო დაპირისპირებაში, რაც სერიოზულ გამოწვევად იქცევა არა მარტო ქვეყნის, არამედ რეგიონალური და საერთო-ევროპული სტაბილურობისათვის.

ხელისუფლება იძულებულია სრულად ან ნაწილობრივ ცნოს არსებული პრობლემები, თუმცა, არ გააჩნია რა მათი გამოსწორებისათვის საჭირო რესურსები, ერთი მხრივ, საზოგადოებას უტოპიურ ლოზუნგებს სთავაზობს, ხოლო მეორე მხრივ, გეგმაზომიერად უშლის ხელს პოლიტიკური ძალებისათვის კონკურენტული საარჩევნო გარემოს ჩამოყალიბებას.

თავისი პოზიციის არგუმენტირებისათვის ხელისუფლებას მოჰყავს საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების შეფასება, როგორც „კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე“. რეალობაში კი საქმე გვაქვს არჩევნებისას გამოყენებული დაუშვებელი მეთოდების დახვეწასთან:

1. ამომრჩეველთა რეალური რაოდენობა დღემდე დაუდგენელია. სხვადასხვა მონაცემებით ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაში შეყვანილ, მაგრამ არარსებული ამომრჩევლების რაოდენობა დაახლოებით 1,000,000-ია, რაც არჩევნების ხელისუფლებისათვის სასარგებლო შედეგით დამთავრების წინასწარი პირობაა.

2. საქართველოს პოლიცია პოლიტიზირებულია. არჩევნებისას მისი ძალისხმევა მიმართულია არსებული ხელისუფლების სასარგებლოდ საზოგადოებაზე ზემოქმედებისაკენ.

3. ასევე პოლიტიზირებულია სასამართლო სისტემა, სადაც პრაქტიკულად შეუძლებელია დარღვევების შესახებ წარმოდგენილი საჩივრების სამართლიანი განხილვა.

4. ხელისუფლების მიერ შეუზღუდავად გამოიყენება ადმინისტრაციული და საბიუჯეტო, ისევე როგორც საერთო რესპუბლიკური მაუწყებლობის ელექტრონული მედია-რესურსები. დაუდგენელია ამ მედია-საშუალებების მფლობელთა ვინაობა და დაფინანსების წყაროები. ასევე ხდება სახელმწიფო რესურსებით ფინანსირებული საზოგადოებრივი ტელევიზიის რესურსების ექსპლოატაცია.

5. ბიზნესზე სახელისუფლო ზეწოლა განაპირობებს არჩევნებისას ფინანსური შემოწირულობების სრულ კონცენტრაციას მმართველი პოლიტიკური ჯგუფის ხელში.

ვაცნობიერებთ რა პასუხისმგებლობას საქართველოს საზოგადოების, მისი მომავალი თაობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე, აგრეთვე საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ქვეყანაში სტაბილურობისათვის შექმნილ საფრთხეებს, მივმართავთ საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებს:

**1. გაითვალისწინონ, რომ საქართველოს ხელისუფლება ანგარიშს არ უწევს საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე კონსტრუქციული მოლაპარაკების მნიშვნელობას საერთაშორისო თანამეგობრობისათვის, ვერ აფასებს საპირისპირო მოქმედებების შედეგად მოსალოდნელ საფრთხეებს, ან ხელისუფლების უზურპირების მიზნით თავად უწყობს ხელს ასეთი საფრთხეების შექმნას.**

**2. საერთაშორისო ურთიერთობების პრაქტიკაში მიღებული მეთოდების გამოყენებით დაარწმუნონ საქართველოს ხელისუფლება, გადაუდებლად განაახლონ მოლაპარაკებები ოპოზიციური პარტიების ჯგუფთან საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე; უარი თქვან ამ პროცესის ჩაგდების, გაჭიანურების „სარეზერვო“, ანუ მოლაპარაკებების გასაგრძელებლად ფსევდო-ოპოზიციური სუბიექტების შექმნის მცდელობებზე.**

**3. ობიექტური შეფასება მისცენ ოპოზიციური „რვიანის“ მიერ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების საკითხებზე დაყენებულ მოთხოვნებს, საგანგებო ყურადღება დაუთმონ ხელისუფლების მხრიდან ამ წინადადებათა უარყოფის მოტივაციის ობიექტურობას და საჯაროდ გამოხატონ პოზიცია ამასთან დაკავშირებით. საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვონ მხარეებს მიმდინარე მოლაპარაკებებში თავიანთი საექსპერტო მონაწილეობა.**

ამასთან, გამოვხატავთ ულრმეს პატივისცემას საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური მისიებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლობებისადმი.

კიძუნა: მეგობრობის უღელი

# იაპონია: გზა აღდგენისა და ხელახლა დაბადებისკენ

**ნაოტო კანი,**
იაპონიის პრემიერ-მინისტრი
(არაოფიციალური თარგმანი)

11 მარტს, 14:46 საათზე იაპონიაში მოხდა ისტორიაში ყველაზე ძლიერი მიწისძვრა. ამჟამად ყველაფერს ვაკეთებთ, რომ თავი დავაღწიოთ იაპონიის უკიდურეს აღმოსავლეთში მიწისძვრის გამო მომხდარ ტრაგედიას, რომლის შედეგად 27,000 ადამიანზე მეტია გარდაცვლილი თუ დაკარგული, უცხოელი მოქალაქეების ჩათვლით, და დავუბრუნდეთ ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

11 მარტიდან დაწყებული, ჩვენ დიდ მხარდაჭერას ვღებულობთ საერთაშორისო საზოგადოებისა და მეგობრებისგან მთელი მსოფლიოდან. იაპონიის ხალხის სახელით, მინდა გამოვხატო გულწრფელი მადლიერება იმ მხარდაჭერისა და სოლიდარობისთვის, რაც ჩვენ 130 ქვეყნის, დაახლოებით 40 საერთაშორისო ორგანიზაციის, მრავალრიცხოვანი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ხალხისგან მივიღეთ. იაპონელი ერი დიდად აფასებს **კიძუნას** (მეგობრობის უღელსძ, რომელიც ჩვენმა მეგობრებმა მთელს მსოფლიოში იტვირთეს. ამ გაჭირვების ჟამს, ჩვენ ნამდვილად შევიგრძენით, თუ რას ნიშნავს გამოთქმა **„მეგობრობა გასაჭირში გამოიცნობა“**.

მიწისძვრის შემდეგ საქართველოს მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა გაეკეთებინა ყველაფერი, რაც იაპონიას დასჭირდებოდა: იქნებოდა ეს სამაშველო ბრიგადების გამოგზავნა თუ ჰუმანიტარული დახმარების გაწევა. გულწრფელ მადლობას მოვახსენებთ საქართველოს მთავრობას 1 მილიონ ამერიკული დოლარის ოდენობით იაპონიაში დაზარალებული მოსახლეობისთვის ფინანსური დახმარებისთვის. ჩვენ მხარდაჭერა მივიღეთ არა მარტო საქართველოს მთავრობისგან, არამედ საქართველოს მოქალაქეებისგან და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომლებმაც არა მარტო მწუხარება და თანადგომა გამოხატეს იაპონელი ხალხისადმი, არამედ მოაწყვეს საქველმოქმედო ღონისძიებები, რამაც ფინანსური დახმარება საგრძნობლად გაზარდა.

ამ პერიოდის განმავლობაში 1000 ადამიანზე მეტი მიბრძანდა იაპონიის საელჩოში საქართველოში. მინდა გამოვხატო ჩემი გულწრფელი მადლობა ქართველი ხალხისადმი თანადგომისა და მხარდაჭერისთვის.

იაპონიაში მოხდა რადიაციის გამოჟონვა ფუკუშიმა დაიჩის ატომურ ელექტროსადგურზე, რისი ზარალი საკმაოდ სერიოზულად შეფასდა საერთაშორისო მასშტაბით; მომხდარის გამო ძალიან ვწუხვარ. ჩემი მიზანია, რაც შეიძლება მალე დარეგულირდეს მდგომარეობა ატომურ ელექტროსადგურზე. იაპონიის მთავრობა გაერთიანებული ძალებით მუშაობს ამ საჭირბოროტო საკითხზე. მობილიზებულია ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი, რათა აღმოვფხვრათ ატომური ელექტროსადგურიდან გამომდინარე რისკი. ჩვენ სამი ძირითადი მიმართულება დავსახეთ: **1.** გავუფრთხილდეთ ყველა მოქალაქის უსაფრთხოებასა და ჯანმრთელობას, განსაკუთრებით კი ატომურ ელექტროსადგურთან ახლოს მცხოვრებ მოსახლეობას; **2.** შევაფასოთ ყველა არსებული და მოსალოდნელი რისკი; და **3.** განვიხილოთ ყველა შესაძლებელი სავარაუდო საფრთხე, რაც მომავალში შეიძლება წარმოიქმნას და თადარიგი დავიჭიროთ ნებისმიერ სიტუაციაში სამოქმედოდ.

ჩვენ ყოველ ზომას ვღებულობთ, რათა შევაჩეროთ რადიაციული წყლის ოკეანეში გაჟონვა. ამასთან ერთად, მთავრობა სამეცნიერო კრიტერიუმზე დაფუძნებულ ყველა ღონისძიებას ატარებს ბაზარზე გამავალი იაპონური პროდუქციის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ადგილობრივი და უცხოელი მომხმარებლისადმი იაპონური პროდუქციის უსაფრთხოებაში დასარწმუნებლად, ჩვენი ადმინისტრაცია გააორმაგებს ძალისხმევას გამჭვირვალობის შესანარჩუნებლად და ყველას მიაწოდებს შესაბამის ინფორმაციას ფუკუშიმა დაიჩის ატომურ ელექტროსადგურზე ჩვენი პროგრესის შესახებ.

პირობას ვდებ, რომ იაპონიის მთავრობა დროულად და სრულად შეამოწმებს ამ შემთხვევის მიზეზებს, გაუზიარებს ინფორმაციას მთელს მსოფლიოს, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ მსგავსი საფრთხე. ჩვენ ხელი უნდა შევუწყოთ მომავალი თაობების უსაფრთხოების შესახებ გლობალური დისკუსიების დანერგვას. ამავე დროს, ენერგოპოლიტიკიდან გამომდინარე, უნდა გავუმკლავდეთ ორმაგ გამოწვევას: მზად უნდა ვიყოთ, უზრუნველვყოთ მზარდი მოთხოვნა გლობალურ ენერგიაზე და შევეცადოთ, შევამციროთ აირის გამოყოფა სათბურებიდან, რათა დავუპირისპირდეთ გლობალურ დათბობას. იაპონიის „ხელახლა დაბადების“ ეგიდის ფარგლებში, მინდა მთელს მსოფლიოს ვაუწყო, რომ იაპონია ხელს შეუწყობს სუფთა ენერგიის გავრცელებას, რაც, შესაბამისად, გადაჭრის გლობალურ ენერგოპრობლემას.

**იაპონიის უკიდურეს აღმოსავლეთში მომხდარი მიწისძვრა, რასაც ცუნამი მოჰყვა, ყველაზე დიდი ბუნებრივი უბედურება იყო, რაც კი იაპონიაში მომხდარა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. განადგურებული ტოჰოკუს რეგიონის აღდგენა არცთუ ისე იოლი იქნება. ვიმედოვნებ, რომ ეს ძნელი პერიოდი მოგვცემს „იაპონიის ხელახლა დაბადების“ შესაძლებლობას.**

იაპონიის უკიდურეს აღმოსავლეთში მომხდარი მიწისძვრა, რასაც ცუნამი მოჰყვა, ყველაზე დიდი ბუნებრივი უბედურება იყო, რაც კი იაპონიაში მომხდარა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. განადგურებული ტოჰოკუს რეგიონის აღდგენა არცთუ ისე იოლი იქნება. ვიმედოვნებ, რომ ეს ძნელი პერიოდი მოგვცემს „იაპონიის ხელახლა დაბადების“ შესაძლებლობას. იაპონიის მთავრობა მთელს მსოფლიოს წარუდგენს აღმოსავლეთ იაპონიის აღდგენის ყველაზე გამოცდილ გეგმას, რომელიც დაფუძნებული იქნება სამ ძირითად პრინციპზე: 1. შექმნას რეგიონალური საზოგადოება, რომელიც გაუძლებს ბუნებრივ უბედურებებს; 2. შეიქმნას ისეთი სოციალური სისტემა, რომელიც ხელს შეუწყობს ხალხის გლობალურ გარემოსთან ჰარმონიულ ცხოვრებას, და 3. ხელი შეუწყოს მზრუნველი საზოგადოების განვითარებას, რომელიც ხალხზე ზრუნავს, განსაკუთრებით კი მათზე, ვისაც დახმარება სჭირდება.

ჩვენ, იაპონელი ერი, სფინქსივით აღვსდექით მეორე მსოფლიო ომის ფერფლთაგან. ოდნავაც კი არ მეპარება ეჭვი, რომ იაპონია ამ კრიზისსაც დასძლევს, კიდევ უფრო გაძლიერდება და მომავალი თაობებისთვის უკეთეს ქვეყანას დააფუძნებს.

ვფიქრობ, რომ იმ ძლიერი **კიძუნასა** და გულწრფელი მეგობრობის გადასახდელად, რომელიც ჩვენ საერთაშორისო თანამეგობრობამ გვაჩვენა, უნდა გავაგრძელოთ ქმედება საერთაშორისო საზოგადოების განსავითარებლად. ჩემი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებ რაც შემიძლია, რომ განვახორციელო ქვეყნის **„შორსმჭვრეტელური“** რეკონსტრუქცია, ისეთი ქვეყნისა, სადაც ხალხს საუკეთესო მომავლის იმედი ექნება. კიდევ ერთხელ გულწრფელ მადლობას გიხდით დახმარებისა და თანადგომისათვის. არიგატოუ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

სოციოლოგია

**„ინტერპრესნიუსი“ ესაუბრება ანალიტიკური ჯგუფის „ტერრა მედიას“ გენერალურ დირექტორს, სოციოლოგ ვალერიან გორგილაძეს**



# „უხილავი“ კი არა, სავსებით კონკრეტული

**— ბატონო ვალერიან, ამ ბოლო ხანს ფსიქოლოგებმა და სოციოლოგებმა მოუხშირეს საუბარს საზოგადოებაში შიშის არსებობაზე. თემა რომ აქტუალურია, სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე მსჯელობამაც დაადასტურა. თქვენც ერთ-ერთ სამეცნიერო სტატიაში აღნიშნავთ, რომ საზოგადოებაში დასადგურებული შიშის გამო საქართველოში სოციოლოგიური კვლევის ჩატარებას აზრი არა აქვს. რა გაძლევთ იმის თქმის საშუალებას, რომ ქართული საზოგადოება შიშით არის დაავადებული და, თქვენი აზრით, რას შეიძლება უკავშირდებოდეს ქვეყანაში შიშის სინდრომის ზრდა?**

— სოციოლოგი ვარ, ამდენად ჩემი მოსაზრებების დიდი ნაწილი გარკვეულ მონაცემებს და ამ მონაცემების ინტერპრეტაციას ეყრდნობა. ჩემს ხელთ არსებული მონაცემებით, და ამ მონაცემების პოვნა ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, უკვე 5 წელია, ნათლად იკვეთება შემდეგი სურათი. „ნაციონალური მოძრაობის“ რეიტინგი სოციოლოგიურ გამოკითხვებში, როგორც წესი, 10-15%-ით აღემატება მის მიერვე დაგროვილი ხმების რაოდენობას სხვადასხვა დონის არჩევნებზე, ხოლო რადიკალური, ხაზს ვუსვამ, რადიკალური ოპოზიციური პარტიების რეიტინგი სოციოლოგიური გამოკითხვის დროს პრაქტიკულად არ იზომება, რაც ასევე დისონანსშია ცესკოს ოფიციალურ მონაცემებთან.

2007 წლის დეკემბერში ჩავატარე პოლიტიკური კვლევა, რომლის მიზანი, ცხადია, კანდიდატების რეიტინგის დადგენა თბილისის მასშტაბით. იმ კვლევის შედეგებმა აჩვენეს, მიხეილ სააკაშვილის უპირატესობა ოპოზიციის ძირითად კანდიდატ ლევან გაჩეჩილაძეზე. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე, სააკაშვილი აგროვებდა ამომრჩევლების 25 პროცენტს, ხოლო გაჩეჩილაძე — 19-ს. მსგავსი ტენდენცია ახასიათებდა უკლებლივ ყველა კვლევას, რომელიც ტარდებოდა იმ პერიოდში.

მეც და ბევრმა ჩემმა კოლეგამაც, კვლევითი ინფორმაციის მიუხედავად, მშვენივრად ვიცოდით, რომ კვლევის ჩატარების დრო, ლევან გაჩეჩილაძის რეალური მხარდაჭერა მნიშვნელოვნად აღემატებოდა მიხეილ სააკაშვილის მხარდაჭერას ქვეყნის დედაქალაქში, რაც დადასტურდა კიდეც საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებით. კიდევ ერთი მაგალითი, 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებიდან, წინასაარჩევნო პერიოდში ასევე აქტიურად ვატარებდით კვლევით სამუშაოებს და ძალიან კარგად მახსოვს, რომ „ეროვნული საბჭოს“ რეიტინგი პრაქტიკულად არ ფიქსირდებოდა და არ აღემატებოდა 1%. ცესკოს მონაცემების თანახმად, ძიძიგური-ნოღაიდელი- დავითაშვილის კოალიციამ მიიღო ამომრჩეველთა ხმების 7%.

აქედან გამომდინარე დასკვნა — სოციოლოგიური, რაოდენობრივი გამოკითხვა, უკვე ხუთი წელია, არ არის საიმედო მეთოდიკა, თუ მისი მიზანი საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური უპირატესობების დადგენაა. ეს არის ძალიან სამწუხარო ფაქტი, რომელიც არ მეტყველებს დადებითად, არც ჩვენში არსებული სოციეტალური კლიმატის და არც საზოგადოების დიდ ნაწილში არსებული სოციალური თვითშეგრძნების შესახებ. ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილში სუფევს შიში, და არა ის „უხილავი შიში“, რომელზეც სულ უფრო ხშირად საუბრობს ბატონი რობერტ სტურუა, არამედ სავსებით კონკრეტული, სტატისტიკურად გაზომვადი შიში. შეიძლება ითქვას, რომ როდესაც სოციოლოგია ზომავს პოლიტიკურ რეიტინგებს, სინამდვილეში ზომავს შიშს.

**— საშუალო ასაკის წარმომადგენლები პრივატულ საუბარში დღევანდელ ვითარებას სულ უფრო ხშირად „ბრეჟნევის უძრაობის პერიოდს“ ადარებენ. რამდენად ადეკვატურია საზოგადოების ერთი ნაწილის მიერ დღევანდელობის ამგვარი აღქმა?**

— მართლაც, ბევრი რამ არის საერთო. უიმედობა, რომელიც გადადის ცინიზმსა და სოციალურ აპათიაში. ერთი, რაც მაიმედებს, ის არის, რომ ჯერჯერობით სამზარეულოში არ ვყვებით პოლიტიკურ ანეკდოტებს. შიში ტოტალიტარული, საბჭოური რეფლექსია, ჩვენში მისი არსებობა სხვა პარალელურად არსებული რეფლექსით, კონფორმიზმითაც არის განპირობებული. ერთიც და მეორეც ისტორიულად არის ჩამოყალიბებული და ახლა არ დავიწყებ ამაზე საუბარს, უბრალოდ, კონფორმიზმის საილუსტრაციოდ მოვიყვან ერთ საინტერესო სოციოლოგიურ ფაქტს.

ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არსებობს მხოლოდ ერთი პოლიტიკური სუბიექტი, რომლის მიმართაც სოციოლოგიური გამოკითხვა პოლიტიკური რეიტინგის გაზომვის თვალსაზრისით არის ვალიდური, ანუ საიმედო. ეს არის „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობა. ამ პოლიტიკური ორგანიზაციის რეიტინგი პრაქტიკულად არასოდეს არ განსხვავდება არჩევნებზე მიღებული ხმების პროცენტული მაჩვენებლისგან. რატომ გრძნობს „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ რესპონდენტი თავს ბევრად უფრო კომფორტულად ინტერვიუერთან პირისპირ დარჩენის დროს, ვიდრე სხვა რეიტინგული ოპოზიციური პარტიის მხარდამჭერი?

ჩვენ შეგვიძლია დავუშვათ ვარაუდი, რომ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პოტენციური მხარდამჭერი გამოირჩევა განსაკუთრებული სიმამაცით, შინაგანი თავისუფლებით, რომელსაც განაპირობებს მისი ღირებულებითი ორიენტაციები, განათლების მაღალი ცენზი და ა.შ. მაგრამ, დამიტოვეთ უფლება, ამასთან დაკავშირებით გამოვთქვა ჩემი მოსაზრება: „ქრისტიან-დემოკრატებისადმი“ გამბედავი და მაღალი მხარდამჭერა ხომ არ არის განპიროვნებული იმ გარემოებით, რომ ამ პოლიტიკური სუბიექტის აქტივობას ბევრი მიმოხილველი აფასებს როგორც კონსტრუქციულს, კომპრომისულს და კოლაბორაციონისტულს? ხომ არ არის „ქრისტიან-დემოკრატების“ ამომრჩევლის ეს ქცევა განპირობებული იმ ფაქტორით, რომ თვით პრეზიდენტი აღიქვამს „ქრისტიან-დემოკრატებს“, როგორც ქმედუნარიან პოლიტიკურ კორპორაციას, რომლის ლიდერსაც შეიძლება ჰქონდეს სავსებით ლეგიტიმური ამბიცია ხელისუფლების უმაღლესი რანგის თანამდებობის დასაკავებლად? ხომ არ ქმნის, სწორედ ამ გარემოებათა ერთობლიობა „ქრისტიან-დემოკრატი“ ამომრჩევლებისთვის შესაშურ კომფორტს სოციოლოგიური ინტერვიუს დროს? აშკარაა, რომ ბრეჟნევის „უძრაობის პერიოდთან“ ჩვენ სოციალური ფობია და კონფორმიზმი გვაკავშირებს.

**— ჩემი დაკვირვებით, 2004 წლიდან ხელისუფლება შეეცადა, საზოგადოება კანონმორჩილი გაეხადა. შესაძლოა, გამკაცრებული კანონების წინაშე შიშმა საზოგადოებაში ხელისუფლებისადმი შიშიც გააჩინა. შესაძლოა, ვცდებოდე, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ კანონთან მიმართებაში საზოგადოებრივი აზრის ტრანსფორმაცია სულ უფრო ხელშესახები გახდა. სხვა საკითხია, რომ ამას ყველა ერთმნიშვნელოვნად დადებით არ განიხილავს. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საზოგადოება კანონის წინაშე შიშს ხელისუფლების მიმართ შიშთან აიგივებდეს?**

— გეთანხმებით, რომ კანონმორჩილების თვალსაზრისით ხელისუფლებამ მართლაც შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწია. მაგრამ ერთია, ამყოფო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კანონის მიმართ შიშის ქვეშ, ხოლო მეორეა, მიაღწიო მოსახლეობაში კანონის პატივისცემას. შეგახსენებთ, რომ სტალინის „ეფექტური მენეჯმენტი“ ეფუძნებოდა და დამყარებული იყო საბჭოთა ხალხის უნიკალურ კანონმორჩილებაზე.

**— ოპოზიციის ლიდერები ხშირად და ბევრს საუბრობენ მოსალოდნელ რევოლუციურ ქარტეხილებზე. თუ საზოგადოება ლატენტური შიშის კომაში იმყოფება, გამოდის რომ რევოლუციაზე საუბრებიც ფუჭია, ვინაიდან, ისტორიას არ ახსოვს შეშინებული ხალხის მიერ რევოლუციის მოხდენის პრეცედენტი...**

— უდავოა, რომ ჩვენ დახურულ საზოგადოებაში არ ვცხოვრობთ, მაგრამ, ჩემი აზრით, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის თავისუფალი. ამასთან ერთად, საზოგადოებაში სულ უფრო მეტად იჩენს თავს სხვადასხვა ტიპის აქტივობა, რაც ბუნებრივია და ნიშნავს, რომ ძალიან მნიშვნელოვანი ახალი ეტაპის წინაშე ვდგავართ. ამ თვალსაზრისით, სააკაშვილის რეჟიმი ლაკმუსის ქაღალდია მთელი ჩვენი საზოგადოებისთვის, ვინაიდან სწორედ ამ ხელისუფლების პოლიტიკური სცენიდან წასვლის შემდეგ დაიწყება ახალი ათვლის წერტილი, როგორც სახელმწიფოსთვის, ისე — მთლიანად ჩვენი საზოგადოებისათვის.

სააკაშვილის თვისობრივი განსხვავებულობა მისი წინამორბედებისგან ის გახლავთ, რომ მან კონტრელიტას, თუკი იგი დააპირებდა ხელისუფლებიდან მის ჩამოშორებას ან ჩანაცვლებას, ყველა რესურსი მოუსპო ან მყისიერად შეზღუდა. გამსახურდიას და შევარდნაძის დროსაც ოპოზიცია სარგებლობდა ფინანსური, ადმინისტრაციული, მედიური რესურსებით და სარგებლობდა უდიდესი მხარდაჭერით არასამთავრობო სექტორშიც. დღეს ვითარება სხვაგვარია — სააკაშვილმა თითქოსდა უთხრა თავის ოპონენტებს — აბა, ვნახოთ როგორ მოახერხებთ ჩემს ჩანაცვლებას ამ რესურსების გარეშე? ანუ, სააკაშვილი სთავაზობს თავის ოპონენტებს თვისობრივად განსხვავებულ ამოცანას, რომელიც თავისთავად გულისხმობს თვისობრივად ახალ მიდგომას.

ფაქტია, რომ ამ ლანდშაფტში ძველი, სტანდარტული სქემა აღარ იმუშავებს. ხელისუფლების წინააღმდეგ საგანგებოდ და ხელოვნურად შექმნილი იდეოლოგიური დივერსიების მოსაწყობად გარკვეული ბიზნეს თუ პოლიტიკური დაჯგუფების ფლობელობაში მყოფი ტელევიზიები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების მფარველობის ქვეშ შექმნილი ბიზნესის მხარდაჭერა — ყველაფერი ეს წარსულში დარჩა. ბუნებრივია, რომ ამ რესურსების გარეშე ოპოზიციას ძალიან გაუჭირდება რაიმე ტიპის წარმატებული დესტრუქციის მოწყობა. ამ ვითარებაში ერთადერთი შანსი არის სამოქალაქო საზოგადოების რუტინული მშენებლობა. საზოგადოება აღარ უნდა განიხილავდეს თავს მსხვერპლად, მოქალაქეები უნდა იჩენდნენ მეტ ინიციატივას და უფრო დიდ აქტივობას. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, საზოგადოებამ სასურველ ცვლილებებსა და შესაბამის შედეგებს მიაღწიოს.

**— 20 წელი გავიდა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის აღდგენიდან. ბევრი საუბრობს, რომ ქართულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური და მორალურ-ეთიკური ცვლილებები შეინიშნება. თქვენი აზრით, ამ 20 წელიწადში რა ხელშესახები ცვლილებები მოხდა ქართულ საზოდაოებაში?**

— ყველაფრის მიუხედავად, საკმაო პროგრესს მივაღწიეთ როგორც სამოქალაქო ცნობიერების, ისე ეკონომიკური თუ პოლიტიკური ქცევის და ორიენტაციის თვალსაზრისით. მართალია, ეს გზა ჩვენ ძირითადად „ცდის და შეცდომების“ მეთოდით გავიარეთ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რამდენი ხანი და საიდან მოვდივართ, ეს განვლილი გზა სულაც არ არის აპოკალიფსიკური.

ჩვენს აზროვნებაში ჯერ კიდევ ბევრია ირაციონალური, სიმბოლური და რიტუალური. ჩვენ ვიმყოფებით ღირებულებით ვაკუუმში და ხშირად ჩვენში სამშობლოს სიყვარული ძველი ინერციით, მხოლოდ სადღეგრძელოებით შემოიფარგლება. მხოლოდ თავისუფალ ადამიანში შეიძლება იყოს ღირებულებათა მწყობრი სისტემა, ვინაიდან არათავისუფალი ადამიანის მისწრაფებები ორიენტირებულია მხოლოდ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. ასეთ ვითარებაში უკვე აღარ რჩება ადგილი არც სამშობლოსთვის და არც თავისუფლებისთვის.

**კობა ბენდელიანი**



ინფორმაცია

## ორტომეული აფხაზეთის შესახებ

**ყაბარდო-ბალყარეთში რუსულ ენაზე, ილუსტრირებული წიგნი გამოიცა, რომელიც აფხაზეთის ისტორიას ეძღვნება. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს.**

**წიგნის გამომცემლები ვინმე ვიქტორ და მარია კოტლიაროვები არიან. ორტომიან გამოცემას ეწოდება – „აფხაზია-სტრანა დუში. ეთნოსი, ექსკურსი და ორთოგრაფია ტექსტებში და ფოტომასალებში“. წიგნის I ტომი 1200-გვერდიანია.**

**ვიქტორ კოტლიაროვის განცხადებით, წიგნში შესულია 60 ავტორის ლიტერატურული თხზულება აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ: უცხოელი მოგზაურებისა და მისიონერებისა, რუსი მეცნიერების და სამხედროების, ადგილობრივი მწერლების. თხრობა XV საუკუნიდან იწყება.**

**— წიგნი ასევე ილუსტრირებულია 600-მდე უცნობი და იშვიათი ფოტოსურათით, — იუწყება რუსული მედია.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ბაქიბუქის კორიანტელში

**ყველას გამოგვიცდია, ნემსი რომ ნემსია, იმის დაკარგვაც კი როგორი გულსატკენია. ახლა წარმოიდგინეთ, რა მძიმე გადასატანია მიხეილ სააკაშვილისთვის, შევარდნაძის დროინდელი კორუფციის ყვავილობის პერიოდში გაზრდილ-დავაჟკაცებული პოლიტიკოსისთვის, ამერიკელი მაგნატის (დონალდ ტრამპი) თქმით, მსოფლიოს ამ უდიდესი ლიდერისა და უპირველესი დემოკრატ-რეფორმატორისთვის, იცხოვროს და მართოს სახელმწიფო იმ ქვეყანაში, სადაც კორუფციამ ისე მოულოდნელად განუტევა სული, რომ ქვეყნის თავკაცმა მასთან კაცურად დამშვიდობებაც ვერ მოასწრო.**

დაიხვეწა. ეს არ გამორჩენია პრეზიდენტს ამას წინათ პედაგოგებთან შეხვედრის დროსაც, როცა ხელფასების მომატებაზე ფიქრმოძალებულ მასწავლებლებს აზრები დაუფრთხო სააკაშვილის მიერ მოულოდნელად კორუფციის ხსენებამ.

ყველას ვეუბნები და თქვენც უნდა გითხრათ, — წამოიწყო პრეზიდენტმა, — ზოგი ფიქრობს, რომ რადგან კორუფციას ვერსად მიაგნო, ვერც სკოლაში, ვერც საწარმოში და ვერც სადმე სხვაგან, ის მაინც ვისთანმე იქნება თავშერგულიო. ასეთად ზოგს ხელისუფლება მიაჩნია, ვერ მოგართვით, ბატონებო, ხელისუფლება არ გახლავთ ის ადგილი, სადაც კორუფციას განცხრომით ცხოვრება შეუძლია, — დასძინა ბატონმა სააკაშვილმა.

# სააკაშვილს კორუფცია დაეკარგა...

ამას კიდევ გაუძლებდა ვარდისფერი რევოლუციის ძარტეხილგადატანილი ჭაბუკი პრეზიდენტი, მაგრამ ეს ჩვენი პოლიტიკანი ოპონენტები კორუფციის დაკარგვით გულდაკოდილ სახელმწიფოს მეთაურს ჭრილობის მოშუშებას რომ არ აცლიან? ახლაც ყველას გვახსოვს პარლამენტში ანგარიშით გამოსული პრეზიდენტი როგორ გაანერვიულა ვინმე დეპუტატ ჩახვაძის მიერ უადგილოდ ნახსენებმა „ელიტურმა კორუფციამ“, რასაც მუდამ დინჯი და აუღელვებელი სააკაშვილის მძაფრი რეაქცია მოჰყვა:

— წავიდა, სამუდამოდ გაგვისხლტა ხელიდან, ბატონებო, ეგ თქვენთვის და ჩვენთვისაც სათაყვანებელი კორუფცია, — თქვა სინანულით პრეზიდენტმა, — აბა ის რომ ცოცხალი იყოს და ძველებურად ომახიანად სჭექდეს, ამ გაჩახჩახებულ დარბაზში თვალს როგორ გამოეპარებოდა? მორჩა, დამთავრდა კორუფციის ამბავი და აღარ უნდა ვეძებოთ იქ, სადაც ის არ არის. დაიმახსოვრეთ, ჩვენ არა ვართ კომუნისტები, რომლებიც კატას იმ ოთახშიც ეძებდნენ, სადაც ის არ იყო.

ეს ყველაფერი პრეზიდენტის ენაპირით ისე სარწმუნოდ და დამაჯერებლად ითქვა, რომ კორუფციის გარდაცვალებაში ეჭვი აღარავის უნდა შეპარვოდა, მით უფრო, რომ პარლამენტის დარბაზში მართლაც არც კორუფცია სჭექდა და არც კატა კნაოდა. თუმცა ურწმუნო თომებს რა დალევს ამ ტიალ ქვეყანაში და აი, ამ დარბაზშიც გამოჩნდა კაცი, რომელმაც დაიჩემა — კორუფცია საქართველოში არ მომკვდარა, კვლავაც ცოცხალია, თავს ჯანმრთელად გრძნობს და ისეთ მადაზეა, ლამის ქვეყანა გადაჭამოსო. ეს კაცი საპარლამენტო უმცირესობის ლიდერი გიორგი თარგამაძე გახლდათ, რომელმაც ბოლოს ისიც კი იკადრა, ეთქვა — კორუფცია თავს ასე მშვიდად და ჯანმრთელად იმიტომ გრძნობს, რომ ბატონო პრეზიდენტო, პირადად თქვენ მფარველობთო(!ძ.

ჰოდა, რა გასაკვირია თუ ასეთი უცერემონიო განცხადების შემდეგ ბატონი სააკაშვილი იძულებულია, სადაც არ უნდა გამოდიოდეს სიტყვით, პარლამენტი იქნება ეს, სათხილამურო ტრასის მშენებლობა, სიმინდის სათესი ფართობი თუ საბავშვო ბაღი, პირმოუღლელად უმტკიცოს თვინიერ მსმენელს, რომ კორუფცია ქვეყნის სათავეში ნაცების გამოჩენისთანავე სამუდამოდ აითესა და მეზობელ ქვეყნებში გა-



ამას რომ ამბობდა პრეზიდენტი, რას წარმოიდგენდა, რომ „სახალხო კრების“ აქტივისტთა ფანტაზია სააკაშვილის მსოფლიოში აღიარებულ ფანტაზიას გადააჭარბებდა და ერთ მშვენიერ დღეს კარგა ხნის გარდაცვლილ თუ ქვეყნიდან გაპარულ კორუფციას საქართველოს ხელისუფალთა ზღაპრულ სასახლეებში აღმოაჩენდა. **არადა, ფაქტია, ამ დღეებში თბილისმა (და არა მარტო თბილისმა) იხილა რუსთაველის მეტროსთან გახსნილი „მხილების მუზეუმი“, რომელშიც გამოფენილი იყო ქვეყნის ბობოლა ჩინოვნიკთა — დავით ბაქრაძის, ძმები კუბლაშვილების და ბეჟუაშვილების, ვანო მერაბიშვილის, პეტრე ცისკარიშვილის და სხვათა არმად ნაგები სრასახლები, აგრეთვე, შუშისგუმბათიანი სახლი მიხეილ სააკაშვილისა და სანდრა რულოვსისთვის, რომლის აბრაზე აღნიშნულია, რომ შენობა „ჭაითურმანგანუმის“ ერთ-ერთ მეწილეს ეკუთვნის.** ხალხს რას გამოაპარებ, უმტკიცე რამდენიც გინდა, კორუფცია საქართველოდან რუსეთში გაიპარაო, მას (ხალხსძ რატომღაც ჰგონია, რომ ის არსად არ გაპარულა და დღესაც ხელისუფალთა კაბინეტებსა და ვილა-სახლებში უზრუნველად დააბიჯებს.

უფრო მოკრძალებულია ლეიბორისტი გიორგი გუგავა, რომელიც ფიქრობს, რომ კორუფცია არაფერ შუაშია, უბრალოდ **„საქართველოს საწვავის ფასების კატასტროფული ზრდა გამოწვეულია ალიევ-სააკაშვილის საოჯახო ბიზნეს-ინტერესებით, რომლებიც არიან ქვეყანაში საწვავის მთავარი მონოპოლისტი კომპანიის „სოკარის“ მეპატრონეები და ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობის ხარჯზე ყოველდღიურად მრავალი მილიონით ავსებენ პირად ანგარიშებს“. გუგავას თქმით, კომპანია „სოკარ ჯორჯიას“ 51 პროცენტს ფლობს აზერბაიჯანული მხარე, ხოლო 49 პროცენტს — სააკაშვილის ოჯახი. თუ ამას დავუატებთ იმასაც, რომ „ვისოლი“ ფაქტობრივად არის მიხეილ სააკაშვილის ძმის კომპანია, აშკარაა, ეს კომპანიები საქართველოში მთლიანად განსაზღვრავენ საწვავის ბაზრის კონიუნქტურას. არადა სწორედ საწვავზე ფასების ზრდა ანგრევს სოფლის მეურნეობას, მცირე და საშუალო ბიზნესს, მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას, რომელსაც ხელისუფლება ასე „მდგრადად“ ანვითარებს.**

ინტრიგების ხლართვაში ლეიბორისტებს ბევრით არ ჩამორჩებიან ჟურნალისტები, რომლებიც, ესაქმებათ თუ არ ესაქმებათ, ცხვირს ყველა სფეროში ყოფენ, მათ შორის კორუფციის კომპეტენციაშიც. **ალბათ ამას უნდა ვუმადლოდეთ იმ აღმოჩენას, რომელიც წინასააღდგომო დღეებში გაზეთ „ვერსიის“ ჟურნალისტებმა თავიანთ მკითხველებს გაუმხილეს. კერძოდ, არცთუ მთლად მორიდებით, მაგრამ სადღაც მაინც მოკრძალებულად მომხმარებელს შეაპარეს, თქვენ რომ გგონიათ ქართულ კვერცხს მიირთმევთ, ზღაპარი ყოფილა, თურმე აქაური კომპანიები თურქეთსა და უკრაინაში 8 თეთრად ნაყიდ კვერცხს ქართულად ასაღებენ და მასში კაი 32 თეთრს გაფცქვნიანო. ისინი კითხულობენ პრეზიდენტი რომ გვეკეკლუცება, კვერცხი საექსპორტოდ უცხოეთშიც გაგვაქვსო, თუ ეს მართალია, მაშინ 10 მილიონი ცალი კვერცხის იმპორტი (ოფიციალური სტატისტიკის მონაცემია) რაღა საჭიროაო(?!). იქვე გვამცნობენ, ამ საქმის უსტაბაში თურმე ვანო მერაბიშვილი ყოფილა, რომელმაც კორუფცია, სააკაშვილს კაი ხნის გარდაცვლილი რომ ეგონა, კვერცხის ნაჭუჭში ისე დაატუსაღა, პოლიციის გამჭვირვალე შენობებიდან გამოჭრვეტის უფლებაც კი წაართვა.**

ასეთ ვითარებაში რა ვქნათ, რა მოვიმოქმედოთ ისეთი, რომ პრეზიდენტს კორუფციის დაკარგვით გამოწვეული მწუხარება ოდნავ მაინც შევუმსუბუქოთ? ამაზე ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა ვიფიქრე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ საქართველოში, სადაც კიტრი და პამიდორიც კი უცხოეთიდან შემოგვაქვს, ავდგეთ და კორუფციაც გავაიმპორტოთ (არა მგონია რუსეთმა, რომელიც ამ ბრენდით გაძეძგილია, მტრობის მიუხედავად, მის შესყიდვაზე უარი გვითხრასძ. მართალია პირველ ხანებში იმპორტული კორუფცია ყველას ვერ გასწვდება, მაგრამ იმდენი მაინც იქნება, რომ სახელისუფლებო კლანებმა ერთმანეთში გადაინაწილონ. რაც მთავარია, მონდომება და ენერგია არ უნდა დავიშუროთ იმისათვის, რომ ეს დიდი ეროვნული საქმე ბოლომდე მივიყვანოთ.

*მიხეილ სააკაშვილი: ვერც ერთ პოლიციელს, ვერც ერთ პროკურორს, ვერცერთ გამგებელს ვერ მოსთხოვ, იყოს პატიოსანი, თუ თავად არ ხარ პატიოსანი.*

*უცხოეთში გახშირდა შემთხვევები, როდესაც ქართველები სჩადიან დანაშაულს. რატომ? იმიტომ, რომ საქართველოში დამნაშავეებს არ დაედგომებათ, სამწუხაროდ, მათი ექსპორტირებაც მოვახდინეთ.*

*ჩვენ შევძელით, რომ ქვეყანა გაგვესუფთავებინა დანაშაულისგან, კორუფციისგან და ახლა ვცდილობთ, ეკოლოგიურად სუფთა ქვეყანაც ავაშენოთ.*

**ოთარ ხუციშვილი**

იქ, ამერიკაში...

# უშარვლოდ, სამაგიეროდ, ხალისიანად...



**ნიუ-იორკის ცივ ზამთარში თბილ მეტროში უშარვლო, ასევე შეიძლება ითქვას, უქვედაწელო, ადამიანების დანახვისას, სიცილი თუ არა, ბადრი ღიმილი თუ არ წაგსკდებოდათ, მაშინ ნახევრადხუმრობით გეტყოდით, რომ „ლურჯი წინდა“ ხართ. საერთოდ, ზამთარში და მეტადრე თუ იგი სუსხიან-თოვლიანია და გლობალური დათბობის არაფერი ეტყობა, ყველაზე ნაკლებად რაზეც ფიქრობ, განსაკუთრებით საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ეს ქალისა და კაცის საცვლების ფაქტურა-დიზაინია.**

მაგრამ იმ დღეს, როცა არტ-გაერთიანების Improve Everywhere აგენტებს თუ მსახიობებს მეტროს ვაგონებსა და ბაქანზე გადავეყარე, ნებსით თუ უნებლიეთ ჩემი ყურადღება ამ ადამიანების საცვლებზე გამახვილდა. ვუეარიზმი აქ არაფერ შუაშია. ერთი სიტყვით, ადამიანი, როგორი ნებისყოფის პატრონიც არ უნდა ყოფილიყო, თვალი იქითკენ აუცილებლად გაეპარებოდა. თუმცა „გაპარვა“ უადგილო სიტყვაა. ბრმა უნდა ვყოფილიყავი, რომ ქვედა საცვლების მასობრივი გამოფენა არ დამენახა. ეს არც რომელიმე ბრენდის პიარმარკეტინგული სვლა იყო და არც სპენსერ ტუნიკის ეპატაჟი. იმ დღეს 3500-მდე ახალგაზრდა მეტროში ჩავიდა და როგორც კი მატარებელი დაიძრა, უცებ ქვედა ტანსაცმლის გახდას მიჰყო ხელ-ფეხი და ამგვარ „კოსტიუმში“ გააგრძელა გაზეთების, ჟურნალების კითხვა, აიფოდების მოსმენა და ერთმანეთთან საუბარი, თითქოს არც არაფერი მომხდარა. მერე კი „იუნიონ სქვერზე“ ჩავიდნენ. ანუ იქ შეიკრიბნენ, საიდანაც დიდი ქალაქის მიწისქვეშეთში დილაადრიან მიმოიფანტნენ, ერთადერთი მისიით, ადამიანებისთვის უეცარი სიხარული, ღიმილი მოეგვარათ, გაემხიარულებინათ, თუნდაც რამდენიმე წუთით. თავიანთ აქციებს „მისიას“ უწოდებენ. მაგალითად, სათეატროდ გამოწყობილნი ოკეანის სანაპიროზე სეირნობენ, ჭყუმპალაობენ და ცურავენ; ანდა მეტროში უცხოპლანეტელებად გადაცმულნი დასეირნობენ; ანდა მამაკაცები (ქალები — არაძ პერანგებს იხდიან (დიდლიპიანებიცძ და ქუჩასა და მეტრო-ავტობუსებში ასე და ამგვარად „დეფილირებენ“; ანდა რომელიმე ღია კაფეში მუსიკალური გადაძახილ-გადმოძახილებს აწყობენ. ამის შემსწრეები, როგორც წესი, გულგრილები არასოდეს რჩებიან. ან ვიდეოს იღებენ, ან იცინიან ან თავის პატარა შვილებს კისერზე შემოისვამენ, რათა მათ „სიმშვიდის აღმაშფოთებელნი“ უკეთესად დაინახონ და გაიგონონ.

არტ-გაერთიანების Improve Everywhere-ს შექმნის იდეა მის დამფუძნებელს მსახიობ ჩარლი თოდსა და მის ორ მეგობარს 2001 წლის აგვისტოში ნიუ-იორკში „ვესთ ვილიჯის“ ბარში ყურყუტის დროს დაებადათ. სწორედ იქ გაითამაშეს სულ პირველი თავიანთი „მისია“. ჩარლიმ მაშინ გადაწყვიტა: იმის მაგივრად, რომ რომელიმე თეატრში, როლის შეთავაზებას ცის მანანასავით დალოდებოდა, არჩია თავად დაედგა რაიმე დიდი, დასამახსოვრებელი და გულის გასახარებელი. თანაც თავად მსახიობიც ყოფილიყო და ამავე დროს ერთგვარი სახალხო თეატრის პერფორმანსიც წარემართა, ოღონდ თეატრის კედლებს გარეთ.

ჩარლი თოდი იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვისაც ერთი წუთით შეხვდები და არასოდეს დაგავიწყდება. ხალისიანი და რაღაცნაირი შინაური. მსუბუქი ურთიერთობაში, ნათელი. მეუბნება, შემდეგ პერფორმანსის თარიღსა და შინაარსს წინასწარ იმეილით შეგატყობინებთო და თუ ნიუ-იორკში იქნებით, აუცილებლად მობრძანდით, მონაწილეობა მიიღეთო. ვეხუმრები, საცვლების ჩვენებაში მონაწილეობას ვერ მივიღებ, სხვა მხრივ „ჩემი თავი შემოგევლოთთქო“. ეცინება, გაზაფხულ-ზაფხულის სეზონზე კიდევ უფრო სასაცილო ამბებს მპირდება და თავის თავზე მიყვება.

— ვარ 32 წლის, დავამთავრე ჩრდილოეთ კაროლინას უნივერსიტეტი დრამის განხრით. კომედია ჩემი პროფესიაა. ჰობი კი არის კომედიის გამართვა, პოლიტიკოსებზე დაკვირვება და ახალი, თანამედროვე მუსიკის მოსმენა.

**— როგორ ფიქრობთ, თქვენი პერფორმანსი ხუმრობაზე უფრო მეტია? არის იგი ერთგვარი წამიერი ფსიქოთერაპია?**

— არა. ეს არის კომედია. არაფერი კომედიაზე მეტი.

**— მე მახსოვს ქუჩაში „თავისუფალი ჩახუტების“ კამპანია, რომელიც მთელს მსოფლიოს მოედო. ვიცი, რომ იგი თქვენი პროექტი არაა. შეიძლება ითქვას, რომ თქვენ განსხვავებული მისია გაქვთ?**

— „თავისუფალი ჩახუტების“ პროექტი ჩვენი პროექტების შემდეგ დაიბადა. არის რაღაც საერთო ამ ჩვენს ორ პროექტს შორის. ორივე ჩვენება სახალხოდ თამაშდება და იგი უცნობ ადამიანებთან ურთიერთობას მოიაზრებს. კი, ჩვენ ორივენი ვეძებთ რაღაცას პოზიტიურსა და გვინდა სხვებს ბედნიერება მივანიჭოთ. მაგრამ არა მგონი, რომ „ჩახუტებას“ ჩვენს პროექტებთან ბევრი რამ ჰქონდეს საერთო.

**— პერფორმანსისთვის უკვე არსებულ მუსიკას იყენებთ თუ ახალს ქმნით?**

— როცა ვმართავთ ჩვენს „სპონტანურ მუსიკალურ პროექტს“, ჩვენ ორიგინალურ მუსიკასა და ტექსტს ვწერთ. ამ პროექტებში მე ძალიან ნიჭიერ კომპოზიტორებთან ვთანამშრომლობ.

იხ. 9 გვ.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## თარგმნის ხელოვნება

# რატომ თრთიან გალაკტიონის ვერხვები?

**„ლექსის იტერპრეტაცია და თარგმანი – გალაკტიონი, შექსპირი, ბაირონი...“ – ამ სახელწოდებით თარგმანმცოდნეობის სრულმა პროფესორმა, თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილმა წევრმა ინესა მერაბიშვილმა საჯარო ლექცია წაიკითხა.**

**უნივერსიტეტში თარგმანმცოდნეობის მიმართულებას ქალბატონი ინესა ხელმძღვანელობს, და ამ ლექციით ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თარგმანმცოდნეობის მიმართულებამ გასულ წელს დაწყებული საჯარო ლექციათა ციკლი განაახლა.**

– ჩვენი მიზანია თარგმანის მეტი ყურადღებითა და გამოცდილებით შესრულება, – გვითხრა ქალბატონმა ინესამ ლექციის დასრულების შემდეგ, – მით უმეტეს, რომ დღეს უკვე არსებობს მეთოდოლოგია იმისა, თუ როგორ უნდა მივუდგეთ თარგმანს, რომ თარგმანი დილეტანტის დონეზე არ შესრულდეს. თავად თარგმანის საქმე, მოგეხსენებათ, საუკუნეებს ითვლის, მაგრამ თარგმანის თეორია, როგორც დარგი მეცნიერებისა, მხოლოდ ნახევარი საუკუნის წინათ აღმოცენდა. სწორედ ამ თეორიული ცოდნით შეიარაღება ნიჭიერ მთარგმნელს ძალიან ეხმარება, რაც, უწინარეს ყოვლისა, ტექსტის ინტერპრეტაციას ითვალისწინებს. ტექსტის მართებული ინტერპრეტაცია თარგმანში ხორცს ისხამს არტისტული შესრულებით. თუმცა თარგმანისადმი მეცნიერული დამოკიდებულება მხოლოდ მხატვრულ ტექსტს არ გულისხმობს. ნებისმიერი აკადემიური ტექსტი და სხვა აუცილებლად მის სწორ ინტერპრეტაციას ეფუძნება.

თარგმანის თეორია და პრაქტიკა ეკითხება ბაკალავრიატის სტუდენტს, მაგრამ თარგმანს, როგორც მომავალ პროფესიას ირჩევენ მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. ჩემი ხელმძღვანელობით ამ მიმართულებაზე დღეს ოცი მაგისტრანტი და თორმეტი დოქტორანტი სწავლობს.

ვცდილობთ, სხვა ქვეყნების გამოცდილება ავსახოთ მუშაობაში. წლეულს დიდი ბრიტანეთი, მანჩესტერის უნივერსიტეტი მასპინძლობს თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების საერთაშორისო ასოციაციის კონფერენციას, რომელსაც დავესწრები. იქ მსოფლიოს წამყვან თარგმანმცოდნეებს შევხვდები და ერთმანეთს გამოცდილებას გავუზიარებთ. ჩვენ გვინდა წამყვანი ტრანსლატოლოგების დაკვირვების შედეგის მიტანა ახალგაზრდობამდე, რათა ყველაფერზე სრული ინფორმაცია მიიღონ. ამიტომაა აუცილებელი საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობა, თბილისშიც ჩავატარებთ სემინარებს, კონფერენციებს, მოვიწვევთ ცნობილ მთარგმნელებს და მუშაობა უფრო საინტერესო გახდება.

**– თქვენ თარგმნით, ძირითადად, ბაირონს ქართულ ენაზე, ხოლო გალაკტიონს – ინგლისურად. ამის გარდა, თქვენ ბრძანდებით ავტორი არაერთი მონოგრაფიისა, მათ შორის „გალაკტიონის ენიგმების,“ სადაც ახლებურადაა დანახული დიდი პოეტის სამყარო, საკუთრივ ხატებითა და ენიგმებით. თუ გალაკტიონი ხატებითა და სიმბოლოებით აზროვნებს, რა დაინახეთ ამ ხატებისა და სიმბოლოების მიღმა?**

– უხერხულია ვთქვა, რომ ეს მე დავინახე, რადგან მიმაჩნია, რომ ქართველი მკითხველი მისი ლექსის იდუმალებას ყოველთვის გრძნობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ყოველთვის ვერ ხსნიდა ამას. მეცნიერის დანიშნულება სწორედ ისაა, რომ თუნდაც შემოქმედებითი პროცესი ახსნას და გააცნობიეროს. თუ მეცნიერი მყარი და ნაცადი მეთოდოლოგიით არის შეიარაღებული, მისი ინტერპრეტაცია ნაკლებად სუბიექტურია და ის ობიექტურ ღერძს ემყარება. მაგალითისათვის დავასახელოთ ვარდი, რომელიც გალაკტიონთან შედევრის, ანუ გონების მიერ შექმნილი უმშვენიერესი ქმნილების შინაარსს იძენს. ამ შინაარსს გალაკტიონი ბუნებას დაესესხება და ვარდს დამატებითი სიმბოლური შინაარსით დატვირთავს. ლექსი **„ვარდები არიან, მაგრამ რა მევარდება,“** რომელიც ბიძინა კვერნაძის უმშვენიერესი მელოდიითაა განსაკუთრებით ცნობილი, შემდეგს გულისხმობს: ეს ლექსი გალაკტიონმა 36 წლის ასაკში შექმნა. როგორც ჩანს, ის ამ დროს განიცდის შედევრების ნაკლებობას და დიდებასთან შემოდგომის ყვავილები, ანუ საკუთარი შემოქმედების შემოდგომის ნაყოფი მიაქვს **(„შემოდგომის ყვავილებს დიდებასთან მივიტან“)**. ეს შინაარსი მტკიცდება ლექსითაც **„ვარდები“ („მე ზამთრისაგან ჯაჭვაწყვეტილი...“)**.

მაგრამ ამავე დროს, ვარდი გალაკტიონთან მარიამ ღვთისმშობელია, განსაკუთრებით ცნობილია ქრისტიანულ ფილოსოფიაში უეკლო ვარდი. ჩემი მონოგრაფიის „გალაკტიონის ენიგმები“ ყდაზე გამოვიტანე სალვადორ დალის მიერ შექმნილი ვარდი, რომელსაც დიდმა მხატვარმა **„მედიტაციური ვარდი“** უწოდა, ოღონდ ეს მოხდა გალაკტიონის მიერ შექმნილი „ვარდებიდან“ 30 წლის შემდეგ. როგორც ჩანს, გენიოსები ერთნაირადაც ფიქრობენ. ამიტომაც სალვადორ დალის ეს ვარდი მე „გალაკტიონის ენიგმების“ ყდაზე გამოვიტანე.

ლექსში **„მთაწმინდის მთვარე“** არის ასეთი სტრიქონი: **„აქ მწუხარე სასაფლაოს, ვარდით და გვირილით, ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული...“**

გვირილა ქრისტიანულ ფილოსოფიაში ყრმა ქრისტეს სიმბოლოა – გალაკტიონმა ყრმა ქრისტესთან ერთად ღვთისმშობელი გამოსახა. ეს დამთხვევა სულაც არ გახლავთ – გალაკტიონის პოეზია შინაარსობლივადაც მრავალასპექტიანია, ის ალმასივით წახნაგებით ელავს, სხივებს აშუქებს და ჩვენც გვაზიარებს მშვენიერებას. უბრალო ქვა მხოლოდ ერთ სიბრტყეშია და წახნაგებით არ ელვარებს.

ვარდი და გვირილა კვლავ შემოდის ლექსში **„ვერხვები:“**

**„ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი**
**აშრიალდება უშორეს ზღაპრად.**
**.............................................................**
**სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს**
**მოგონებებში ვიჭერ თანაბრად“.**

მაგრამ აქვე ახალი სიმბოლიკაც შემოდის – ვერხვის ფოთოლთა შრიალი. ეს არის ჯვარცმისადმი მიმართვა. ჯვარცმის დროს, ლეგენდის თანახმად, ყველა ხემ, გარდა ვერხვისა, თავი დახარა. ვერხვი ამის გამო დაისაჯა და იმ დღიდან მოყოლებული თრთის... გალაკტიონთანაც ასე თრთის და შრიალებს ვერხვი – **„და შრიალებდა ტოტი ვერხვისა, რაზე – ვინ იცის! ვინ იცის, მერი!“**

ორივე ლექსის შემთხვევაში, თარგმნის დროს ვარდი და გვირილა ხშირად იკარგება. თარგმანში ხან ვარდია და ხან გვირილა... ანდა, არც ერთი. რა დასანანია, როდესაც პოეტი ამხელა შინაარსს ჩადებს სტრიქონში და ის თარგმანში არ შენარჩუნდება. დარწმუნებული ვარ, თუ უფრო მეტად მივუახლოვდებით გალაკტიონს, უფრო მეტ სიახლეს აღმოვაჩენთ მის პოეზიაში.



**– „რუსთავი 2“-ის დილის გადაცემაში საინტერესოდ იმსჯელეთ გალაკტიონის ლექსზე „მერი.“ ვის მიუძღვნა გალაკტიონმა ეს ლექსი?**

– მე რომ ბაირონი კარგად არ მცოდნოდა, ვერ მივხვდებოდი, რომ ლექსი **„მერის თვალებით“** ბაირონის ადრეული ლექსის თარგმანია, რომელიც მან სატრფოს – მერი ჩავორსს მიუძღვნა გათხოვებისთანავე. მერის ქორწილი ლექსის დაწერის თარიღს არ ემთხვევა, ლექსი 1915 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება,“ ხოლო მერი შერვაშიძემ გიგუშა ერისთავზე 1918 წელს იქორწინა. გალაკტიონის თორმეტტომეულის გამოცემისას ეს ცნობა შენიღბეს და მათი ქორწინების თარიღად 1915 წელი გამოაცხადეს. როგორც ჩანს, ვიღაცას გალაკტიონზე მეტად უნდოდა ამ ლექსში თავისი საკუთარი შინაარსი შეეტანა, მით უმეტეს, რომ არც მერი შერვაშიძე არ ეთანხმებოდა იმ ვერსიას, რომ ლექსი მაინცდამაინც მისდამი იყო მიძღვნილი.

**„ჯერ ლექსი მწვავდა, მერე მზე,“** – ბრძანა გალაკტიონმა, რადგან ამ შემთხვევაშიც პოეტი მონუსხული იყო მერის იმ ლიტერატურული სახით, რომელიც ბაირონმა შექმნა და მერე ევროპას მოედო. ეს სახე შთამბეჭდავად აიტაცეს რუსმა პოეტებმაც. ამდენად, გალაკტიონის მერი დიდი ლიტერატურული სახეა, რომელიც დიდ ლიტერატურულ პროცესს აყოლილმა გალაკტიონმა საქართველოში შექმნა.

შემთხვევით არაფერი ხდება, მით უმეტეს გალაკტიონთან, რომელმაც ეს ლექსი ლათინურად დაასათაურა. ამით გალაკტიონმა, ერთი მხრივ, მიანიშნა მერის ინგლისურ წარმოშობაზე, ხოლო, მეორე მხრივ – მარიამ ღვთისმშობელზე, რადგან იქ, იმ ენაზე მერი ღვთისმშობელს ნიშნავს. გალაკტიონმა სანატრელი ქალის სახე ღვთისმშობლის კატეგორიაში აიყვანა: **„როგორც ქალწულის სახელი – მერი არის ცისფერი და მწუხარება.“**

**– არც ერთ პოეტს არ სურს გაუგებარი დარჩეს. პოეტი მკითხველამდე უნდა მივიდეს...**

– გალაკტიონმა თქვა: **„აღმოვაჩინე მთელი სამყარო, ქვეყნისთვის ჯერაც მიუკვლეველი.“** ამ სამყაროში სწორედ სიმბოლოებსაც გულისხმობდა.

ელიოტი ამბობდა, მე-20 საუკუნეში ინფორმაციის მოპოვებამ ცოდნა საერთოდ დაგვაკარგვინა, და ცოდნის მოპოვებამ კი – სიბრძნეო.

ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ადამიანები იდუმალებას ვკარგავთ. ძალიან დიდი მისტიკა დევს ჩვენს არსებობაში. თუ დავუფიქრდით და მივაყურადეთ, ყოველ წუთს შეგვიძლია სასწაული აღმოვაჩინოთ, მაგრამ ვფიქრობთ კი ამაზე? ჩვენ ხომ ისიც არ ვიცით, საიდან მოვედით და სად მივდივართ?

თარგმანი არტისტული ხელოვნებაა, რომელსაც წინ ფილოლოგიური მოკვლევა უძღვის. არის შემთხვევები, როდესაც მთარგმნელი საკუთარი გუმანით ხვდება სათქმელს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მოუკვლევლად ტექსტს ვერ შეიმეცნებ.

მინდა შემოვიტანო და დავამკვიდრო სტუდენტობაში და მთარგმნელებში შემდეგი დამოკიდებულება: თარგმანი, როგორც გამოკვლევა და შემდეგ, როგორც შესრულება. ქართველი კაცი ბუნებით არტისტულია, ამდენად, ეს მეორე მომენტი ქართველ მთარგმნელში ღვთისგან ბოძებულია. საჭიროა მეტი დაკვირვება და ტექსტის მოკვლევა. 2005 წელს თარგმანისადმი მიძღვნილი ორი მონოგრაფია გამოვეცი: „პოეტური თარგმანის ლინგვისტიკა“ და „თარგმანი –კულტურათა დიალოგი,“ სადაც ეს დამოკიდებულება აისახა.

ორი წლის წინათ, უნივერსიტეტში შევქმენით თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების ასოციაცია. ვაგროვებთ შრომებს ალმანახის გამოსაცემად.

აპრილის ბოლოს თარგმანისა და კულტურათაშორისი ურთიერთობების საერთაშორისო ასოციაცია წლიურ კონფერენციას ლონდონისა და მანჩესტერის უნივერსიტეტების ერთობლივი ძალისხმევით მართავს. ამ კონფერენციის მონაწილე მეც გახლავართ. იქ ჩემი მუშაობის მიზანია ჩვენი დამოკიდებულება საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ უფრო ფართოდ გავიტანოთ, ხოლო მათ მიერ მიღწეული აქ დავნერგოთ.

საგულისხმოა, რომ ამ საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი გახლავთ პროფესორი ჯულიან ჰაუსი. დღეს ჩვენი ინგლისურენოვანი სტუდენტები ბაკალავრიატსა და მაგისტრატურაში თარგმანის თეორიას სწორედ მისი წიგნითაც ეუფლებიან.

ესაუბრა
**თამარ შაიშმელაშვილი**

## ინფორმაცია

### ოკუპანტებმა ბლოკ-პოსტზე ვიდეოკამერები დაამონტაჟეს

**ახალგორის ოკუპირებულ რაიონის სოფელ მოსაბრუნში ბლოკ-პოსტზე რუსმა ოკუპანტებმა ე.წ. ვიდეოკამერები დაამონტაჟეს. ამის შესახებ ახალგორის მოსახლეობა იტყობინება. მათი ინფორმაციით, სოფელ მოსაბრუნთან ოკუპანტებმა უკანონო ბლოკ-პოსტის სიახლოვეს ვიდეოკამერები რამდენიმე დღის წინ დაამონტაჟეს და ოკუპირებულ ტერიტორიაზე შემსვლელებსა და გამომსვლელებს გარდა წერილობით აღრიცხვისა ვიდეოკონტროლსაც აწარმოებენ.**

**ამასთან, მოსახლეობა აცხადებს, რომ მას შემდეგ რაც ახალგორის რაიონში დისლოცირებული რუსული საჯარო ნაწილების როტაცია განხორციელდა ე.წ. რაიონში შესვლა კიდევ უფრო გართულდა.**

**– ახალგორის რაიონში შესვლა უკვე ე.წ. რუსი მესაზღვრეების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, იმ შემთხვევაშიც კი თუ ახალგორში ხარ ჩაწერილი, მაგრამ რაიონში რამდენიმე თვე არ ყოფილხარ, ოკუპანტები შესვლაზე უარს გვეუბნებიან, – აცხადებს ახალგორის მოსახლეობა. გარდა ე.წ. რუსი მესაზღვრეებისა ოკუპირებულ ტერიტორიაზე გადასვლას ადგილობრივ მოსახლეობას ცხინვალიდან ჩამოსული ე.წ. ომონიც ურთულებს, რომლებმაც ე.წ. საზღვარზე ადგილობრივი სეპარატისტების წარმომადგენლები ჩაანაცვლეს.**

### ცოცხალია თუ არა სომხეთის პრეზიდენტი?

**ოფიციალური უწყებები სომხეთის პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის გარდაცვალების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ. როგორც ერევნიდან იტყობინებიან გუშინ გავრცელდა ინფორმაცია პრეზიდენტის გარდაცვალების შესახებ, თუმცა ინფორმაცია არ დადასტურებულა. გავრცელებული ინფორმაციით, პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზი სავარაუდოდ გულის შეტევა გახდა. ვრცელდება ასევე ინფორმაცია, რომ სარგსიანი საკუთარ სახლში გარდაიცვალა.**

* * *

**ჩვენი რედაქცია გუშინვე ტელეფონით დაუკავშირდა საქართველოს პრეზიდენტის მრჩეველს, გაზეთ „ვრასტანის“ რედაქტორს ბატონ ვან ბაიბურთს, რომელმაც სომხეთის ოფიციალურ წყაროებზე დაყრდნობით კატეგორიულად უარყო სომხეთის პრეზიდენტის გარდაცვალების ამბავი და ამ ინფორმაციას ბოროტი ჭორი უწოდა.**

### ფუკუსიმელები ფულად კომპენსაციას მიიღებენ

**თითოეული ევაკუირებული ოჯახი, რომელთა რიცხვიც 50 ათასს აღემატება, სავარაუდოდ, 1 მილიონ იენს (12, 2 ათას დოლარს) მიიღებს. პირველ დღეს ამ თანხას 100 ოჯახს გამოუყოფენ.**

**შეგახსენებთ, ჯერ კიდევ 6 აპრილს კომპანიამ რეაქტორის სიახლოვეს მცხოვრებ ადამიანებს სიმბოლური ფულადი კომპენსაცია შესთავაზა.**

**31 მარტისათვის თანხა 9 დასახლებულ პუნქტს ადგილობრივი ხელისუფლების ბიუჯეტიდან გაუნაწილეს, თუმცა ქალაქ ნამის მოსახლეობამ იგი არ მიიღო, როგორც მხოლოდ მცირედი კომპენსაციის მცდელობა მათ უზარმაზარ ზარალთან შედარებით.**

ჯი-ეიჩ-ენი

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კოკოითი დამოუკიდებლობას ეძებს

**აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების პროცესი გაგრძელდება. ასეთი რწმენა გამოთქვა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრის დროს სამხრეთი ოსეთის ლიდერმა ედუარდ კოკოითმა, რომელიც დაგვპირდა, რომ გაახარებს მოსკოვს და თავის ხალხს ახალი აღიარებებით უახლოეს მომავალში. აღიარება, სავარაუდოდ, უნდა მოვიდეს ლათინური ამერიკიდან.**

უკვე უახლოეს მომავალში სამხრეთ ოსეთს იმედი აქვს მიიღოს თავისი დამოუკიდებლობის აღიარება კიდევ ერთი უცხოეთის ქვეყნიდან.

„სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი მალე შეიძლება აღიაროს კიდევ ერთმა სახელმწიფომ. ჩვენ ამჟამად ვაწარმოებთ სერიოზულ მოლაპარაკებას აღიარებასთან დაკავშირებით. და მალე შეგვიძლია გავახაროთ ჩვენი ხალხი ახალი აღიარებით“, – განაცხადა რესპუბლიკის ხელმძღვანელმა ედვარდ კოკოითმა ორშაბათს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან სერგეი ლავროვთან შეხვედრის დროს.

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა აღარ დააზუსტა თუ, კერძოდ, რომელი სახელმწიფოა მზად ასეთი საჩუქრისთვის.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ამ დროს აღნიშნეს, რომ ორი რესპუბლიკის ახალი აღიარება უნდა მოდიოდეს ლათინური ამერიკის ერთ-ერთი ქვეყნიდან. „არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. ინტერესი ლათინურ ამერიკაში სამხრეთი ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებისადმი, მათთან კონტაქტების გაფართოებისადმი, არსებობს. ჩვენ ჩვენი მხრიდან, რასაკვირველია, მივესალმებოდით ამას და ყოველთვის მივესალმებით ასეთი პროცესების პოლიტიკურ და პრაქტიკულ მხარდაჭერას“, – განუცხადა „ინტერფაქსს“ წყარომ რუსეთის დელეგაციაში.

ოფიციალური მოსკოვი სერგეი ლავროვის სახით ასევე მიესალმა მოვლენათა ამგვარ შემობრუნებას. „ცნობილი მიზეზების გამო ამ პროცესის დამუხრუჭებას ცდილობენ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ დრო თავის საქმეს გააკეთებს და ცხოვრება თავისას მიიღებს. სამხრეთი ოსეთის რესპუბლიკა – ჩვენი მეზობელი და მოკავშირეა, ჩვენ მას არასოდეს ვაწყენინებთ და ყოველთვის მხარს დავუჭერთ საერთაშორისო საქმეებსა და სამხრეთი ოსეთის სახელმწიფოებრიობის განმტკიცებაში“, – განაცხადა მინისტრმა.

შეგახსენებთ, რომ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობა 2008 წლის ომის შემდეგ პირველად აღიარა თავად რუსეთმა. შემდგომ მას შეუერთდნენ ნიკარაგუა, ვენესუელა და ნაურუ.

საკმაოდ დიდხანს ამ სიის შევსებას გვპირდებოდა ბელარუსიც. როგორც შარშან აგვისტოში პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, მისი ბელარუსელი კოლეგა თავის დროზე ეფიცებოდა მას დსთ-ს ქვეყნების ხელმძღვანელთა თანდასწრებით. „მან თქვა: საზეიმოდ ვდებ ფიცს, რომ ყველაფერს გავაკეთებ ყველაზე მოკლე დროში“, – საჯაროდ გამოააშკარავა რუსეთის ლიდერმა ბატკო სიცრუეში.



თავად ლუკაშენკომ საკმაოდ მალე დაივიწყა თავისი დაპირება და მიუთითა, რომ დამოუკიდებლობის აღიარება არის პარლამენტის კომპეტენცია, რომელიც უარყოფს ამ ფაქტს, მოგვიანებით ლუკაშენკომ ბრალი დასდო რუსეთს ზემოქმედებაში ამ საკითხთან დაკავშირებით.

როდესაც სამხრეთი ოსეთის მიმდინარე პრობლემებზე საუბრობდა, ლავროვმა აღნიშნა, რომ ალბათობა სამხედრო პროვოკაციების შესახებ საქართველოს მხრიდან ძველებურად მაღალია.

„ჩვენ არ გამოვრიცხავთ სამხედრო პროვოკაციებს საქართველოს მხრიდან, ვინაიდან თბილისში ამჟამინდელი რეჟიმისგან შეიძლება ელოდო ყველაფერს, რაც გინდა, ამიტომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რათა საიმედოდ დავიცვათ სამხრეთი ოსეთის საზღვრები და ვიყოთ მზად, თუ ვინმე მოისურვებს, გაიმეოროს 2008 წლის აგვისტოს დანაშაული“, – თქვა მინისტრმა:.

ამასთან ერთად მან გამოთქვა იმედი, რომ თბილისი შეიზღუდება „სიტყვიერი პროპაგანდით“. „ჩვენ უკვე ვიცით, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის ბევრი გამონათქვამი უბრალო ლაყბობაა. მთავარია, რომ ეს აქტიურობა არ გადაიზარდოს სურვილში, გადაწყვიტოს თავისი პრობლემები მეზობელი ხალხების დაჩაგვრის ხარჯზე“, – ხაზგასმით აღნიშნა საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა.

ის აგრეთვე მიესალმა სამხრეთი ოსეთის მცხოვრებთა მისწრაფებას, პასუხი აგებინონ საქართველოს ხელმძღვანელობას 2008 წლის აგვისტოს მოვლენებისთვის საერთაშორისო სასამართლოებში. თავად მოსკოვი კი, დაუმატა მინისტრმა, არ აპირებს, მოითხოვოს საქართველოსგან კონტრიბუციები. „ჩვენ ვაპირებთ მხოლოდ ერთ რამეს – დავამყაროთ სამართლიანობა“, – ხაზგასმით აღნიშნა ლავროვმა.

ВЗГЛЯД

# მოსკოვი აფხაზეთის წინაშე თავის ქართველებს არ დაიცავს

**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი სამშაბათს აფხაზეთში ისაუბრებს რუსეთის იმ მოქალაქეების დაცვის შესახებ, რომლებიც ჩივიან, რომ მათ ქონებას აფხაზები ართმევენ. ექსპერტებს ეჭვი ეპარებათ ამ მოლაპარაკების პროდუქტიულობაში.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა 25-26 აპრილს მოიარა სამხრეთი ოსეთი და აფხაზეთი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ სოხუმში ლავროვი, კერძოდ, განიხილავდა რუსეთის მიერ აღიარებული რესპუბლიკის „ერთობლივი მუშაობის მიმდინარეობას კანონიერების უზრუნველყოფის შესახებ რუსეთის მოქალაქეების ქონებრივი უფლებების საკითხებში“.

საკითხი, როგორც ექსპერტები განმარტავენ, შეეხება საკონფლიქტო საკითხებს, რომლებიც მოიცავენ დევნილებისთვის მათი ჩამორთმეული საკუთრების კომპენსაციას, აგრეთვე უფლებებს ზოგიერთ კომერციულ ობიექტებზე აფხაზეთში.

2010 წელს რუსეთის ოფიციალურმა პირებმა გამოაცხადეს, რომ ღებულობენ უამრავ საჩივარს თანამოქალაქეებისგან, რომლებსაც აფხაზეთის ხელისუფლება უარს ეუბნება საცხოვრებელი სახლების კომპენსაციაზე. ეს სახლები მათ დატოვეს ან ჩამოართვეს საქართველო-აფხაზეთის ომის დროს 90-იანი წლების დასაწყისში ან უფრო გვიან.

2010 წლის შემოდგომაზე მოსკოვმა და სოხუმმა შექმნეს კომისია აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეთა ქონებრივი უფლებების შესახებ. საჩივრები შემოდიოდა სხვადასხვა ეთნიკური კუთვნილების ადამიანებისგან, მაგრამ კომისიის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა ალექსანდრე ადლეიბამ მიმდინარე წლის იანვარში ოფიციალურად მათგან გამოყო მხოლოდ ერთი ჯგუფი – ქართველებისა.

ადლეიბას სიტყვებით, აფხაზეთის ხელმძღვანელობას არ აქვს განზრახული, განიხილოს ქართული წარმომავლობის რუსეთელების განცხადება, სანამ საქართველო აფხაზეთს არ გადაუხდის კომპენსაციას ომისთვის 13 მილიარდი დოლარის ოდენობით.

აპრილში ეს პოზიცია კიდევ ერთხელ დაადასტურა აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ ასეთ მიდგომას „ანტიფაშიზმი“ უწოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც სოხუმს პირდაპირ ბრალს არაფერში უყენებს, დაგვპირდა, რომ დაბეჯითებით დაუჭერს მხარს ყველა რუსეთელის უფლებას მათი წარმომავლობის მიუხედავად.

აფხაზი პოლიტოლოგი, გაზეთ „ჩეგემსკაია პრავდას“ რედაქტორი ინალ ხაშიგი მიიჩნევს, რომ სინამდვილეში მოსკოვი ოფიციალურად მხარს უჭერს იმავე პოზიციას ქართველ ლტოლვილებთან დაკავშირებით, რასაც აფხაზეთის ხელისუფლება.

„გასაგებია, თუ რა უშლის ხელს მოსკოვს თქვას ეს ოფიციალურად: ეს გამოიწვევს ძალიან დიდ რეზონანსს. ამიტომ ურჩევნია კულუარული შეთანხმება აფხაზეთთან ამ საკითხთან დაკავშირებით“, – განუცხადა ხაშიგმა ბი-ბი-სი რუსულ სამსახურს.

ქართველი პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი ფიქრობს – ან იმედი აქვს – რომ რუსეთი დაუთმობს აფხაზეთს ქართველი ლტოლვილებისთვის კომპენსაციის საკითხში მხოლოდ დროებით, სოჭის ზამთრის ოლიმპიაბამდე.

„შემდეგ, მეორე ეტაპზე, რუსეთი, ალბათ, მაინც წავა ეთნიკური ქართველების ინტერესების დაკმაყოფილების მხარეზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ეთნიკური ქართველები შეიტანენ სარჩელს სასამართლოში რუსეთზე. და აუცილებლად გაიმარჯვებენ“, – მიაჩნია ზაქარეიშვილს. – „ოლიმპიურ თამაშებამდე კი რუსეთს სკანდალების ეშინია და არ წავა სიტუაციის გამწვავებაზე აფხაზეთთან. ეს შეეხება არა მხოლოდ მოქალაქეთა ქონებრივ უფლებებს. ეს შეეხება ტერიტორიულ პრეტენზიებსაც და სხვა საკითხებსაც“, – განმარტა პოლიტოლოგმა.

ინალ ხაშიგი ვარაუდობს, რომ სერგეი ლავროვის შეხვედრების დროს აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან საკითხი შეეხება ამ და სხვა საკითხებსაც.

ერთ-ერთი მათგანი შეეხება საზღვრის დემარკაციას მაღალმთიან სოფელ აიბგის რაიონში. რუსეთისა და აფხაზეთის პრესის ცნობით, რუსეთს პრეტენზია ჰქონდა მთელ სოფელზე, რომელსაც ჰყოფს მდინარე და აქვს 160 კვადრატული კილომეტრის ტერიტორია და რომელსაც აფხაზეთი თავისად მიიჩნევს. თუმცა, აფხაზეთის კომისიის თავმჯდომარე სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაციის საკითხებში ვალერი კვარჩია ოფიციალურ განცხადებაში გვარწმუნებს, რომ რუსეთმა ეს პრეტენზიები მოხსნა ჯერ კიდევ მარტში.

კიდევ ერთი კონფლიქტი წამოიჭრა ამ ცოტა ხნის წინათ სანატორიუმ „სოხუმთან“ დაკავშირებით. აფხაზეთმა იგი ოფიციალურად გადასცა, ისევე როგორც რამდენიმე ამგვარი ობიექტი, რუსეთის თავდაცვის სამინისტროს უვადო სარგებლობაში. აპრილის შუა რიცხვებში სამინისტრომ გადაწყვიტა დაეკეტა სანატორიუმი კაპიტალურ რემონტზე, გაათავისუფლა მთელი პერსონალი – 1000-ზე მეტი კაცი.

შრომითი კოლექტივი და ზოგიერთი აფხაზი პოლიტიკოსი მიიჩნევენ, რომ რუსეთის სამხედრო უწყებას, რომელიც არ არის სანატორიუმის ფორმალური მფლობელი, არ აქვს უფლება, ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად დახუროს იგი და გაათავისუფლოს ხალხი.

ზოგიერთი რუსი მეწარმე და უბრალო ინვესტორები საჯაროდ ჩივიან იმის შესახებ, რომ აფხაზეთში მათ ჩამოართვეს საკუთრება უკვე ამ ცოტა ხნის წინათ და არა ომის დროს.

კარნეგის მოსკოვის ცენტრის ექსპერტი ალექსეი მალაშენკო მიიჩნევს, რომ რუსეთს შეუძლია დაიცვას მოქალაქეების უფლება აფხაზეთში, მაგრამ მხოლოდ ამჟამინდელ საერთაშორისო და საგარეო სამართლებრივ სიტუაციაში ეს არის არა საგარეო საქმეთა სამინისტროს, არამედ პოლიტიკოსების, თავად ბიზნესმენებისა და სხვადასხვა ძალოვანი სტრუქტურების საქმე.

„მე იმასაც ვუშვებ, რომ რომელიღაც მომავალში ურთიერთობა რუსეთსა და აფხაზეთს შორის იქნება ისეთი ხასიათის, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროსაც ექნება ამასთან დამოკიდებულება – მაგრამ ეს მხოლოდ მომავალში. ამჟამად კი ეს გამოიყურება მეტად სასაცილოდ“, – განაცხადა მალაშენკომ.

თანაც, მისი აზრით, ლავროვის ამჟამინდელი შეხვედრები სოხუმში მომზადებული არ არის, ამიტომ უსარგებლო აღმოჩნდება.

BBC RUSSIAN.com

## დედამიწის ზურგზე



**„დეილი-მეილი“: კადაფის არმია იყენებს ვიაგრას, რათა ძალადობა იხმაროს ქალებსა და ბავშვებზე**

დაქირავებულთა მსხვერპლი ხდებიან არა მხოლოდ ქალები, არამედ ბავშვებიც, რომელთაგანაც ყველაზე პატარას სულ რაღაც 8 წელი შეუსრულდა. ზოგჯერ არასრულწლოვანებს აიძულებენ, უმზირონ, თუ ჯარისკაცები მათ თვალწინ როგორ ხოცავენ მათ მამებს და აუპატიურებენ დედებს. ბევრი ბავშვი ამჟამად დათრგუნულ მდგომარეობაშია: დღისით ისინი უარს ამბობენ თამაშზე, ღამით კი შეშინებულები ყვირიან.

* * *



**„ნასამ“ გამოაქვეყნა დედამიწის ყველაზე შთამბეჭდავი ფოტოსურათები კოსმოსიდან**

სურათების პუბლიკაცია დაემთხვა დედამიწის დღეს, რომელიც აღინიშნება ტრადიციულად 22 აპრილს. მათ შორის არის პლანეტის პირველი ფოტო, რომელიც გაკეთებულია ადამიანის მიერ მთვარის ორბიტიდან, კვამლის ფოტო, რომელიც ამოდიოდა მანჰეტენიდან 2001 წლის 11 სექტემბერს, ჩინეთის დიდი კედლის ხედები და კატაკლიზმების შედეგები ორბიტიდან.

* * *



**აშშ-ის ექსპრეზიდენტი ჩავიდა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში კიმ ჩენ ირთან შესახვედრად**

ჯიმი კარტერს თან ახლავან ფინეთისა და ირლანდიის ყოფილი პრეზიდენტები მარტი ახტისაარი და მერი რობინსონი, აგრეთვე ნორვეგიის ექსპრემიერი გრუ ჰარლენ ბრუნდტლანდი, რომლებიც შედიან ეგრეთ წოდებულ „უხუცესთა საბჭოში“. როგორც ელოდებიან, „უხუცესები“ განიხილავენ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან ერთად კორეის ნახევარკუნძულის ბირთვულ პრობლემას.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

◉ წარდგინება

# რომ ენა არ წახდეს, ერიც არ დაეცეს...

**არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მეორე ტომისა და ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის მეორე ნაწილის წარდგინება გაიმართა.**

„სალიტერატურო ენის ფუნქციონირების თვალსაზრისით, ძალიან დიდი როლი აკისრია მასმედიას, რომელიც არის შუამავალი საზოგადოებასთან. სწორედ ამიტომ დაემთხვა ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის წარდგინება ქართული ენის დღეს,“ – განაცხადა ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა ლალი ეზუგბაიამ.



„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეულის ახალი რედაქციის მეორე ტომი ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილებაში მომზადდა და გამოიცა. ახალი რედაქციის მთავარი რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ავთანდილ არაბული. ლექსიკონი შეივსო უახლესი ტერმინოლოგიით.

დაზუსტდა განმარტებები და ზედმიწევნით აისახა სიტყვის მნიშვნელობათა ცვლილებები.

ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი ინსტიტუტის ქართული ენის მეტყველების კულტურის განყოფილებაში მომზადდა. მისი მთავარი რედაქტორია პროფესორი თამარ ვაშაკიძე. რედაქტორები არიან: შუქია აფრიდონიძე, თინათინ ღვინაძე, პასუხისმგებელი მდივანი – თეა ტეტელოშვილი.

ლექსიკონის ეს გამოცემა თანამედროვე პრესაში დადასტურებულ და გავრცელებულ ენობრივ შეცდომებს ითვალისწინებს.

ლექსიკონს ახლავს ორი დანართი, ხმოვნებზე ფუძედამთავრებული საკუთარი სახელების მართლწერა და პუნქტუაციის წესები. ჟურნალისტის ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონის გამომცემლების განცხადებით, ლექსიკონი განკუთვნილია არა მხოლოდ ჟურნალისტებისთვის, არამედ დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენის მართლწერისა და სტილისტიკის საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ პირს.

სიტყვით გამოვიდნენ: თამარ ვაშაკიძე, გიორგი გოგოლაშვილი, ვაჟა შენგელია, გუჩა კვარაცხელია... ითქვა, რომ ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი ძვირად ღირებულია და ყველა ვერ შეიძენს. დაიბადა აზრი, იქნებ განათლების სამინისტროს შეეძინა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და სკოლებში დაერიგებინა?

ლალი ეზუგბაიამ მადლობა გადაუხადა გამომცემლობა „მერიდიანს“ კარგი პარტნიორობისა და თანადგომისათვის.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ კოსმოსი

# „ჩვენ გვაგრძნობინეს, რომ ადგილი დაკავებულია“

**მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ამერიკელებმა კოსმოსურ პროგრამა „აპოლონში“ 20 მილიარდ დოლარზე მეტი დახარჯეს. მისი განხორციელებისას მთვარეზე ექვსი ეკიპაჟი ჩავიდა, მის ზედაპირზე ექვსმა კაცმა დადგა ფეხი, დედამიწაზე კი 382 კილოგრამი მთვარის გრუნტი ჩამოიტანეს.**

**გარდა ამისა, დაგეგმილი იყო კიდევ სამი ექსპედიცია, მაგრამ 1972 წელს ნასამ ჩაფიქრებული ფრენები გააუქმა, რაც იმით ახსნა, რომ დაფინანსებას სხვა კოსმოსური პროგრამა საჭიროებს. თითქოს ყველაფერი ლოგიკური იყო, მაგრამ ბევრი მკვლევარი ამას სხვა მიზეზით ხსნის.**

საქმე ის არის, რომ მთვარეზე ზოგჯერ მეტად უცნაური ამბები ხდება, რაც სპეციალისტებისთვის დიდი ხანია, ცნობილია. მათ აღსანიშნავად საგანგებო ტერმინიც კი არსებობს – „მთვარის ხანმოკლე მოვლენები“ (მხმძ, რაც სინათლის გაელვებების, გაურკვეველი წარმოშობის ჩრდილებისა და ნისლების, აგრეთვე... მოძრავი ობიექტების გაჩენით გამოიხატება. არსებული მონაცემებით, მრავალ კატალოგში (რომელთაგან, სხვათა შორის, ბევრი თავად ნასას – ამერიკის შეერთებული შტატების კოსმოსური კვლევის სააგენტოს მიერაა შედგენილი) არაერთი ასეთი მოვლენაა აღწერილი.

**„1871 წლის აპრილში მთვარის პლატონის კრატერის რაიონში სინათლის გაელვების 1600 შემთხვევა დადგინდა. 1887 წელს იქვე მანათობელი სამკუთხედი დაინახეს, შემდეგ კი კრატერისკენ მოძრავი მრავალი წერტილი“.**

ასტრონომმა ევგენი არსიუხინმა 1992 წელს მთვარეზე სხვა ანომალია დაინახა: **„შავი კვადრატული სხეული ზიგზაგებით მიფრინავდა. იგი**

## ვინ იმალება მთვარის ბნელ მხარეზე?

**თითქოს არსაიდან გაჩნდა, თავდაპირველად აღმოსავლეთით გაფრინდა, შემდეგ დასავლეთით და კრატერ ალფონსის წიაღში გაუჩინარდა“.**

უკრაინელი პაველ რომანოვის მიერ გადაღებულ ფოტოზე, რომელიც მან ახალი წლის ღამეს გადაიღო, **მთვარეზე მკაფიოდ ჩანს მანათობელი ობიექტი, რომელიც მის ბნელ მხარესაა. ანალიზმა დაადასტურა, რომ ეს გამოსახულების დამახინჯება კი არა, არამედ ნამდვილად რეალური ობიექტია.**

რაც შეეხება ამერიკელებს, უნდა ითქვას, რომ დედამიწასთან „აპოლონის“ ეკიპაჟების საუბრები მთელ მსოფლიოში რადიომოყვარულთათვის არანაირ საიდუმლოს არ წარმოადგენდა. სწორედ მათგან გახდა ცნობილი, რომ **„აპოლონ-8“-ს, რომელმაც პირველმა შემოუფრინა მთვარეს, თავს ორჯერ დაესხა გამოუცნობი მფრინავი ობიექტი. ობიექტმა „აპოლონ-8“-ს სინათლის მძლავრი ნაკადი მიუშვა, რა დროსაც ძლიერი ხმა გაისმა, რომელმაც ასტრონავტების ყურების ტკივილი გამოიწვია. უცნაური ობიექტების შესახებ ასევე იტყობინებოდნენ „აპოლონ-10“-სა და „აპოლონ-11“-ის ეკიპაჟებიც. ამ უკანასკნელმა მთვარეზე პირველი ადამიანი ნეილ არმსტრონგი გადასვა, რომელმაც დედამიწაზე გადმოსცა: „სხვა კოსმოსური ხომალდები კრატერის მეორე მხარეს არიან ჩამწკრივებულნი. ისინი აქ არიან და გვაკვირდებიან!“**

გამოუცნობ მფრინავ ობიექტებს „აპოლონების“ სხვა ეკიპაჟებიც ახსენებდნენ. **1994 წელს ამერიკული კოსმოსური სადგურის „კლემენტინადან“ გადაღებულ ფოტოებზე ჩანს „მთვარეზე ქალაქების ნანგრევები“, რომლებიც ქუჩებსა და უბნებს ჰგავს. 1996 წლის პრესკონფერენციაზე კი ნასას ყოფილმა თანამშრომლებმა აღიარეს, რომ მთვარეზე არსებობენ ობიექტები და ხდება მოვლენები, რომელთა ახსნა ბუნებრივი მოვლენებით შეუძლებელია. ზოგიერთი მათგანი კი... სამთომომპოვე-**



**ბელ მექანიზმებსა და დანადგარებს ჰგავს.**

**მეცნიერები ამბობენ, რომ მთვარეზე რეგულარულად ხდება მტვრისა და გაზების ამოფრქვევა X-ის მსგავსი ობიექტებიდან. ეს ობიექტები მთვარის ბნელ მხარეს მდებარეობენ და რაღაცით სამთომომპოვებელ კომბინატებს ჰგვანან. აღნიშნავენ იმასაც, რომ მთვარეზე მრავლადაა იშვიათი და რადიოაქტიური ელემენტები. ამდენად, არ არის გამორიცხული, რომ ამერიკელებს „მორიდებით სთხოვეს“ მთვარიდან წაბრძანება მას შემდეგ, რაც მათ იქ თავიანთი დროშა აღმართეს. ტყუილად როდი მიაწერენ ნეილ არმსტრონგს ფრაზას: „ჩვენ გვაგრძნობინეს, რომ ადგილი დაკავებულია“.**

**ირმა ირემაშვილი**

◉ იქ, ამერიკაში...

# უშარვლოდ, სამაგიეროდ, ხალისიანად...

**(მეექვსე გვერდიდან)**

**– თქვენი ხუმრობა პოლიტიკური, სოციალური ან სახელოვნებო კონოტაციისაა?**

– ჩვენ ვართ აპოლიტიკურნი და არასოდეს ვაკეთებთ სოციალურ განმარტებას. მე მჯერა, რომ კომედია არის ხელოვნების ფორმა, ამიტომაც, მე ჩემს დადგმებს ხელოვნებად აღვიქვამ.

**– ამისთვის ფული გჭირდებათ თუ მოხალისეები გყავთ?**

– Improv Everywhere ჩემს მიერაა დაფუძნებული. არაფერი ჯდება ერთ ადგილას გაყინვა ან საკუთარი შარვლის ჩახდა. ამ პროექტებს ძალიან დაბალი ბიუჯეტი აქვს და თანაც ჩვენ მოხალისეები გვეხმარებიან.

**– შესაძლებელია ასეთი პერფორმანსების (მცირედი კორექტივებით) საავადმყოფოში გამართვა, ანუ იქ, სადაც დეპრესიული გარემოა?**

– როგორც წესი, საზოგადოებრივ ადგილებში ჩვენი აუდიენცია შემთხვევით შეირჩევა და ჩვენ სპეციფიკურად არ ვარჩევთ იმ ინდივიდებს, ვისთვისაც ვთამაშობთ.



**– როგორ აღწერდით თქვენს გავლენას?**

– ამის თქმა არ შემიძლია. ეს იმათ უნდა ჰკითხოთ, ვინც ამის მოწმე გახლდათ. იმედი მაქვს, რომ ადამიანებს ვაცინებთ და ღიმილს ვგვრით.

**– თქვენ თვლით, რომ ამით სამყაროს უკეთესს გახდით?**

– ჩვენ ვცდილობთ ვიყოთ პოზიტიურები და გავაკეთოთ ისეთი რამ, რაც სხვებს ბედნიერს გახდის. დიახ, ეს სულ მცირედი რამაა, მაგრამ ჩვენ ჩვენს სამუშაოს იმისთვის ვაკეთებთ, რომ სამყარო ოდნავ უკეთეს ადგილად გადავაქციოთ.

**ია მერკვილაძე,**
**ნიუ-იორკი, აშშ**

# განცხადება

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს შემდეგი სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად**

**1. ბუნებრივი კატასტროფების განყოფილება**

- მეცნიერ-თანამშრომელი (1.0 საშტატო ერთეული) სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი (მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);

**2. გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილება**

- მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული) სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული) სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);
- უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული) სპეციალობით ინჟინერ-მშენებელი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი);
- მეცნიერ-თანამშრომელი (0.5 საშტატო ერთეული) სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი).

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთონ:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) დოქტორის, მაგისტრის სამეცნიერო ან აკადემიური ხარისხის მქონე პირის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა (დამოწმებული);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა (ჩამონათვალი);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი.

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს 2011 წლის 27 აპრილიდან (10 საათიდან – 17 საათამდე, შაბათ-კვირის გარდა) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში (IV სართული, ოთახი №421). საბუთების წარდგენის ბოლო ვადაა 27 მაისი, 17 საათი.

კონკურსი ჩატარდება 2011 წლის 3 ივნისს.

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 60.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სწავლულ მდივანს შორენა კუპრეიშვილს

ტელ: 22-74-01.

ფაქსი: 22.73-00

ელ. ფოსტა: gwmi1929@gmail.com

ინტერნეტმისამართი: www.gwmi.ge

**დირექტორი გივი გავარდაშვილი**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ძიუდო

# საალდგომო მონაგარი

**ეტყობა, საქართველოს ეროვნული ნაკრების კონსულტანტად და, ფაქტობრივად, თავკაცად მოწვეული ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი პეტერ ზაიზენბახერი სიტყვის კაცია. ყოველ შემთხვევაში, სტამბოლის ტატამზე დასრულებული ევროპის ჩემპიონატის შედეგები ასეთი დასკვნის გამოსატანად საფუძვლიან არგუმენტებს გვაძლევს.**



შეგახსენებთ, რომ ავსტრიელმა სპეციალისტმა „ჯვაროსანთა“ სათავეში მოღვაწეობის დაწყებისას პირობა დადო, შეგირდებს სპორტული ფორმის პიკზე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გაიყვანს და წლევანდელი „მუნდიალიდან“ მინიმუმ ერთ „ოქროს“ მაინც ჩამოვიტანთო.

ჩვენს ქვეყანაში სულსწრაფებს, პესიმისტებსა და ჩასაფრებულებს რა გამოლევს, მათ შორის კალმოსანთა ამქარში. ჰოდა, როცა „ლონდონი–2012“-ის ოლიმპიური სალიცენზიო სეზონის სტარტზე გამართული რამდენიმე საერთაშორისო ასპარეზობიდან და მსოფლიოს თასის გათამაშებიდან ბიჭები ხელმოცარულნი დაბრუნდნენ, გადამეტებული კრიტიკული ნოტებიც გაისმა. საინტერესოა, ახლა რაღას იტყვიან ურწმუნო თომები?

ორ-ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი, აგრეთვე გუნდურ ტურნირში დაკავებული მესამე ადგილი – ასეთია ქართული დელეგაციის ოსმალური ნადავლი. კონტინენტის ვიცე-ჩემპიონები ბეთქილ შუკვანი (60კ) და ლევან ჟორჟოლიანი (100კ) გახდნენ, ხოლო საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ვარლამ ლიპარტელიანი (90კ) და ირაკლი ცირეკიძე (100კ) ავიდნენ.

აღსანიშნავია, რომ ჩვენს თანამემამულეთა – გიორგი ზანთარაიასა (60კ) და ჯარჯი ზვიადაურის, იგივე ილიას ილიადისის (90კ) დამსახურებული „ოქროები“, შესაბამისად, უკრაინელთა და ბერძენთა ყულაბაში ჩაჩხრიალდა.

**მანუჩარ გიორგაძე**

რაგბი

# ფრანგული ჯილდოები

**საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა გაიმეორა შარშანდელი წარმატება და საფრანგეთის ქალაქებში ტარბსა და ოშში დასრულებულ ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.**

„ბორჯღალოსნებმა“ მესამე ადგილისთვის გამართული უთანასწორო ბრძოლა 40:0(!) მოუგეს გერმანელ თანატოლებს. მეტოქეთა ჩათვლის მოედანი ექვსი ლელოთი აილეს ხუციშვილმა, შარიქაძემ, ახოზაძემ, მარდალეიშვილმა და ბასილაიამ (2), ხოლო ხუციშვილმა ხუთი რეალიზაცია გამოიყენა.



**გაგაცნობთ ლევან მგელაძის გაწვრთნილი გუნდის შემადგენლობას:** გიორგი აფციაური (საბა ნიკოლავა), მურთაზ გიორგაძე (გიორგი ნათელაშვილი), თამაზ მჭედლიძე, მერაბ შარიქაძე, გიორგი ფრუიძე, გიორგი ბასილაია, ვაჟა ხუციშვილი (ზურაბ თუთბერიძე), გიორგი თეთრაშვილი (რატი ასათიანი), დავით ხიდეშელი (გიორგი ლომთაძე), ვახტანგ ახოზაძე (თორნიკე ჯიბლაძე), გიორგი სორდია, ნოდარ მარდალეიშვილი, საბა შუბითიძე, თამაზ ოლქიაშვილი (ლაშა მოსეშვილი), ნიკოლოზ სუხაშვილი.

**ფინალი:** შოტლანდია – იტალია 17:12.

* * *

**კიდევ უფრო კარგი შედეგი აჩვენა სახელოვან თანამემამულე მორაგბეთა უახლოესმა რეზერვმა – 15-წლამდელთა ნაკრებმა ნახევრადსაფესტივალო ვიენას საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც 16 გუნდი მონაწილეობდა.**

„უვერტიურას“ (შესავალი) სახელწოდებით ცნობილი ამ პრესტიჟული ასპარეზობის ათი შეხვედრიდან ზვიად ცუხიშვილისა და გიორგი ენუქიძის შეგირდებმა რვა მოიგეს, ერთი ფრედ დაასრულეს, ერთი წააგეს და მეორე ადგილი დაიკავეს.

აი, ყმაწვილ „ბორჯღალოსანთა“ შთამბეჭდავი მონაგარი. **ჯგუფური რაუნდი.** „ბურგუენთან“ (საფრანგეთი) – 17:7, „ჰოტე კოტ დორთან“ (საფრანგეთი) – 39:0, „ლიეჟთან“ (ბელგია) – 29:0, „კორსიკასთან“ (საფრანგეთი) – 14:0, ლიტვის ნაკრებთან – 14:0, „რასინგ ვიენასთან“ (საფრანგეთი) – 45:0, „ჟენევასთან (შვეიცარია) – 36:0, „ვიენ როდნისთან“ (საფრანგეთი) – 5:5. **ნახევარფინალი:** ისევ „ბურგუენთან“ – 12:0. **ფინალი:** „ნიუი სენ ჟორჟთან“ – 0:12. დავძენთ, რომ ჩვენმა გუნდმა აღნიშნულ ტურნირზე პირველად 2009 წელს ითამაშა და მაშინ მთავარი პრიზი მოიპოვა.

**ამჯერად საქართველოს სპორტულ ღირსებას იცავდნენ:** ვახო გაბისიანი („ჯიქები“), გიგი ქურასბედიანი („ჯიქები“), ლაშა საჯაია („ჯიქები“), ირაკლი სვანიძე („ხულიგანა“), სოსო ჯაფარიძე („ხულიგანა“), ლუკა იურინი („აკადემია“), ბექა მაზმიშვილი („აკადემია“), ვახტანგ ქავთარაძე („აკადემია“), კოტე ახოზაძე („აკადემია“), სანდრო ილურიძე („აკადემია), თორნიკე მანაგაძე („ქუთაისი“), შოთა არეშიძე („ქუთაისი“), გივი ლოსაბერიძე („ქუთაისი“), ნოე კოპალიანი (თსუ), გიორგი ჯოხია (თსუ), დაჩი



ელერდაშვილი („ვეფხვები“), გიორგი ჯლამაია („ფოთი“), გუგა შავიძე (თსუ), ვასილ ლობჟანიძე („არმაზი“).

ამ დღეებში ქართველი ჭაბუკები კუნძულ კორსიკაზე გადაინაცვლებენ, სადაც 29 აპრილიდან 2 მაისამდე კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში გამოვლენ.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფეხბურთი

# აქეთურ-იქითური

**მორიგი სკანდალებით აღინიშნა ეროვნული ჩემპიონატი. ამჯერად მეხი XXXI ტურის ერთბაშად ორ შეხვედრაში გავარდა, თანაც ორივეში ოქროს მედლების უმთავრესი პრეტენდენტები მონაწილეობდნენ.**

რაც შეეხება დეტალებს, ზუგდიდში მასპინძელთა ერთ-ერთმა მოთამაშემ გორელი მსაჯი ხვიჩა გაგნიძე ხელისკვრით ჭაობად ქცეულ ნაწვიმარ მინდორზე დააგდო, რის საპასუხოდაც დინამოელთა კარში არდანიშნული პენალტი დასახელდა, ამან კი სიტუაცია ტრიბუნებზეც დაძაბა და რომ არა პოლიციის ძალისხმევა, მეტოქეთა ქომაგები, ალბათ, ერთმანეთს დაერეოდნენ.

არანაკლებ დუღდა ვნებები რუსთავში, სადაც თბილისელმა არბიტრმა თორნიკე გვანცელაძემ უხეშობისა და ბილწსიტყვაობისათვის წითელი ბარათით, შესაბამისად, რაზმაძე და კვახაძე დასაჯა (ორივე – „ოლიმპი“).




ვიმედოვნებთ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტი და მსაჯთა კოლეგია პრინციპულად განიხილავენ ამ აღმაშფოთებელ ფაქტებს და დამნაშავეებს შესაბამის განაჩენს გამოუტანენ.

„ბაია“ – „დინამო“ 1:2 (სიხარულია; კვარაცხელია – 2), „ოლიმპი“ – „ზესტაფონი“ 1:2 (მურველაშვილი; გელაშვილი, ძარია), „კოლხეთი“ – „ტორპედო“ 1:1, „სამტრედია“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:1, „სიონი“ – „ცხინვალი“ 1:1.

„ზესტაფონი“ – 66, „დინამო“ – 59 (30 მატჩიდან), „ოლიმპი“ – 57, „ჯიტ ჯორჯია“ (30 მატჩიდან) „ტორპედო“ – 42-42, „ბაია“ – 38, „სიონი“ – 36, „კოლხეთი“ – 33, „ცხინვალი“ – 27, „სამტრედია“ – 25 ქულა.

**ბომბარდირი:** გელაშვილი („ზესტაფონი“) – 16 გოლი.

**შემდეგი ტური (30 აპრილი):** „ზესტაფონი“ – „ბაია“, „დინამო“ – „კოლხეთი“, „ვიტ ჯორჯია“ – „სიონი“, „ტორპედო“ – „სამტრედია“, „ცხინვალი“ – „ოლიმპი“.

* * *

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „ოსასუნა“ 2:0, „ვალენსია“ – „რეალი“ 3:6, „სევილია“ – „ვილიარეალი“ 3:2.

**იტალია.** „ბრეშია“ – „მილანი“ 0:1, „ინტერი“ – „ლაციო“ 2:1, „პალერმო“ – „ნაპოლი“ 2:1.

**ინგლისი.** „მანჩესტერი“ – „ევერტონი“ 1:0, „ჩელსი“ – „ვესტ ჰემი“ 3:0, „ბოლტონი“ – „არსენალი“ 2:1.

**გერმანია.** „გლადბახი“ – „ბორუსია“ 1:0, „ლევერკუზენი“ – „ჰოფენჰაიმი“ 2:1, „ფრაიბურგი“ – „ჰანოვერი“ 1:3.

**გიორგი შოთაძე**

ინტერნეტიდან

## მსაჯი დანიშნულია



**ჩემპიონთა ლიგის დღევანდელ პირველ ნახევარფინალურ მატჩს „რეალსა“ და „ბარსელონას“ შორის გაუძღვება გერმანელი მსაჯი ვოლფგანგ შტარკი. მას დაეხმარებიან გერმანელებივე იან ჰენდრიკ სალივერი და მიკე პიკელი. მატჩი გაიმართება მადრიდში.**

განმეორებითი შეხვედრა შედგება ბარსელონაში 3 მაისს.

შტარკი სჯიდა პირველ მერვედფინალურ მატჩს „რეალსა“ და ფრანგულ „ლიონს“ შორის, – 1:1. აგრეთვე უძღვებოდა „ბარსელონას“ ორ ბრძოლას – ჯგუფური ეტაპის გასვლით შეხვედრას „ინტერთან“ – 0:0 და საპასუხო მეოთხედფინალურ მატჩს „არსენალთან“ – 4:1.

## „ტაისონის კბენას“ გამეორება უნდოდა?

**ალბათ, კრივის ძველ მოყვარულებს ახსოვთ სახელგანთქმული მაიკ ტაისონისა და ევანდერ ჰოლიფილდის 1997 წლის ბრძოლა, როცა მეტოქეს ტაისონმა ყურზე უკბინა. მაშინ ამ ამბავმა მთელი მსოფლიო შემოიარა, ის თითქმის დავიწყებას ექლეოდა, მაგრამ ეს საქციელი გაიმეორა არგენტინელმა მოკრივემ ალეხანდრო გომესმა. 23-დან 24 აპრილის ღამეს მან ყურზე უკბინა თავის თანამემამულე ვისენტე მარტინ როდრიგესს და დისკვალიფიკაციაც მიიღო.**

ინციდენტი ორთაბრძოლის მეექვსე რა-



უნდში ბუენოს-აირესში მოხდა 63,5-კილოგრამიანი კატეგორიის მეტოქეების შეხვედრისას. კბენის შემდეგ როდრიგესს ყურის ბიბილოზე იარა გაუჩნდა, ექიმებმა კი თქვეს, რომ ბრძოლის გაგრძელება აღარ შეიძლებოდა.

26 წლის როდრიგესს პროფესიულ რინგზე გამართული აქვს 35 ბრძოლა, გაიმარჯვა 33-ში ( 19 ნოკაუტით), დამარცხდა ერთხელ, ერთი შეხვედრაც ფრედ დამთავრდა.

37 წლის გომესს კი 37 ბრძოლაში 11 გამარჯვება ჰქონდა. ბოლო 6 ორთაბრძოლიდან ის ხუთში დამარცხდა.

## მიმბაძველობა მუდამ ცუდი როდია

**პორტუგალიის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა სიმაუ საბროზამ გადაწყვიტა, მიებაძა თავისი ესპანელი კოლეგების იკერ კასილიასისა და სერხიო სამოსის მაგალითისთვის და რომანი გაეჩაღებინა ჟურნალისტ ქალთან.**



როგორც ცნობილია, მადრიდის „რეალის“ მეკარეს რომანი აქვს ესპანეთის ყველაზე პოპულარულ ტელეწამყვან ქალთან სარა კარბორნეროსთან, ხოლო „სამეფო კლუბის“ მცველი მიეჯაჭვა ტელეარხის La Sexta წამყვანს ლარა ალვარესს. ევრო-2004-ის ვერცხლის პრიზიორის რჩეული კი გახდა მის ქვეყანაში პოპულარული გადაცემის Fama Show წამყვანი რიტა ანდრადე. როგორც პრესაში გამოჟონა, 31 წლის საბროზა და 29 წლის ანდრადე ერთმანეთს სულში უძვრებიან. მათი დამოკიდებულება ძალზე სერიოზულიაო.

თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე ფეხბურთელთა ცხოვრებაში, შეყვარებულები მუდამ როდი ხვდებიან ერთმანეთს – 2011 წლის ზამთარში სიმაუ მადრიდის „ატლეტიკოდან“ თურქულ „ბეშიქთაშში“ გადავიდა, რიტა კი ლისაბონში დარჩა. ახლა ისინი შორიდან ეტრფიან ერთმანეთს.

## სს „მინას“ აქციონერთა საყურადღებოდ!

**საზოგადოების აქციონერთა მორიგი საერთო კრება ჩატარდება კომპანიის ოფისში 2011 წლის 17 მაისს 10 საათსა და 30 წუთზე მისამართზე: მცხეთის რაიონი, სოფელი ქსანი.**

დღის წესრიგი:

1. 2010 წლის სამეურნეო ანგარიში;
2. 2010 წლის აუდიტორის ანგარიში;
3. 2011 წლისათვის აუდიტორის არჩევა;
4. სამეთვალყურეო საბჭოს არჩევნები;
5. სხვადასხვა.

საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საერთო კრების საალრიცხვო თარიღად დადგენილია 2011 წლის 28 აპრილი.

კრების ჩატარებამდე ათი დღის განმავლობაში აქციონერებს შეუძლიათ შეამოწმონ კრებაში თავისი მონაწილეობის უფლება ფასიანი ქაღალდების რეგისტრატორთან – სს „კავკასრეესტრთან“ მისამართზე: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №74ა. აქციონერი კრების მუშაობაში მონაწილეობას იღებს პირადობის მოწმობის და აქციათა რეესტრის საფუძველზე.

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!**

ხალხური მედიცინის სასწაული

# ტიბეტური თვითმასაჟი

**მასაჟების ამ კომპლექსს, რომელიც დილით, ლოგინშივე კეთდება და 5-7 წუთს გრძელდება, საკვირველი შედეგი აქვს. უკვე ერთი კვირის თავზე აჩერებს ტაქიკარდიას, ხსნის წელკავს, თავბრუსხვევას. ომის ინვალიდი, ლოგინს მიჯაჭვული, 79 წლის ასაკში, რამდენიმე თვეში დააყენა ფეხზე და ახლა, 82 წლისა, ჭაბუკივით დააბიჯებს უჯოხოდ.**

**ერთადერთი, რამაც შეიძლება შეგაფერხოთ, პირველ დღეებში ჰიპერტონიკებს წნევა მოემატებათ, მაგრამ მალევე მოწესრიგდება. მთავარია დღეგამოუტოვებლად ჩაიტაროთ ეს უმარტივესი მასაჟები.**

**ყოველ ჩვენგანში ჩადებულია თვითგანკურნების უზარმაზარი ენერგია, რომელიც, ჩვეულებრივ, დამუხრუჭებულია და გარკვეული ძალისხმევაა საჭირო ამ მუხრუჭების მოსახსნელად. ეს მანიპულაციები კი სრულყოფილად იციან ტიბეტელმა მკურნალებმა. ერთ-ერთი მეთოდი კი სწორედ თვითმასაჟი გახლავთ. პირველივე პროცედურების შემდეგ იგრძნობთ განწყობილების გამოკეთებას, ძილის სიმშვიდეს და სიმხნევეს.**

**მასაჟი ჯობს ლოგინშივე გავაკეთოთ თვალდახუჭულმა, მანამდე კი ხელისგულები ერთმანეთს უხახუნეთ გახურებამდე.**

1. დილაობით, ჯერ კიდევ ლოგინში რომ წევხართ, დაიზილეთ ყურები: ცერა თითები ყურს უკან, საჩვენებელი – ნიჟარაზე და ეცადეთ დანარჩენი თითები ტუჩებამდე მიაწვდინოთ. საჩვენებელი ამოძრავეთ ზემოდან ქვემოთ 30-ჯერ.

2. მარჯვენა ხელისგული დაიდეთ შუბლზე, მარცხენა ზემოდან ამოძრავეთ მარჯვნიდან მარცხნივ და პირიქით 30-ჯერ. ამის შემდეგ ორიოდე წუთი შეისვენეთ თვალდახუჭულმა და ინტენსიურად იფიქრეთ შუბლის არეზე. ეს პროცედურა თავის ტკივილსაც აყუჩებს, თავბრუსხვევასაც მოგიხსნით, გაგიუმჯობესებთ სისხლის მიმოქცევას.

3. ცერის ზურგით გაიკეთეთ თვალთა გუგების მასაჟი 15-ჯერ. ეს სავარჯიშო კარგად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე.

4. მარჯვენა ხელისგული დაიდეთ ფარისებრ ჯირკვალზე, ზემოდან – მარცხენა და გააკეთეთ 30 მოძრაობა მუცლამდე და უკან. ეს აუმჯობესებს შინაგან ორგანოთა მუშაობას.

5. დაიდეთ ხელისგულები ასეთივე წესით მუცელზე. ამოძრავეთ წრიულად საათის ისრის მიმართულებით. ეს აუმჯობესებს კუჭნაწლავის მოქმედებას.

6. ეცადეთ შეიწიოთ მუცელი და გამობეროთ. გაიმეორეთ 20-30-ჯერ. დაიწყეთ 5-10 მოძრაობით და თანდათან მოუმატეთ. ეს პროცედურა ხელს უწყობს ნაღვლის სადინარების და სისხლის გასუფთავებას, აძლიერებს ლიმფის მოძრაობას, გვაცილებს ზედმეტ წონას, აუმჯობესებს ღვიძლის მდგომარეობას.



7. მორიგეობით მიიტანეთ მკერდთან მარცხენა და მარჯვენა მუხლი – 30-ჯერ. ეს ამაგრებს მუცლის მუსკულატურას და აძლიერებს შინაგან სეკრეციას.

8. ჩამოჯექით საწოლის კიდეზე, მარჯვენა ფეხი გადაიდეთ მარცხენაზე. მარჯვენა ხელისგულით 30 მასაჟი გაუკეთეთ ფეხისგულს. იგივე გაიმეორეთ მარცხენა ხელისგულით მარცხენავე ფეხისგულზე. ეს სავარჯიშო განსაკუთრებით ეფექტურია გულის დაავადებების, რევმატიზმის, პოდაგრის დროს.

9. ორიოდე ხელის გადაწნული თითებით გაიკეთეთ კეფის მასაჟი ზემოდან ქვემოთ და პირიქით 30-ჯერ. ეს გაგიუმჯობესებთ თავის სისხლძარღვებს, შეაჩერებს ოსტეოქონდროზს.

10. მჭიდროდ მიიდეთ ხელისგულები ყურებზე და თითები უკაკუნეთ კეფის მიდამოს. ეს მოგიხსნით თავისტკივილს, დაგეხმარებათ ყურის შუილების შესუსტებაში.

ყოველივე ამის შემდეგ დალიეთ ჭიქა წყალი, მოდუნდით და ჩაწექით რამდენიმე წუთით. ეს კომპლექსი შეიძლება გაიმეოროთ დღის ნებისმიერ მონაკვეთში, როცა კუჭი არ გაქვთ გადატვირთული.

### ვიბროგიმნასტიკა მათთვის, ვინც ცოტას დადის

1. აიწიეთ თითისწვერებზე, ქუსლები იატაკიდან რომ 10 სანტიმეტრზე იყოს. დაეშვით იატაკზე მკვეთრად, ბაგუნით, სხეულმა რომ იგრძნოს წამის ინტერვალი, 60-ჯერ, დღეში 3-5-ჯერ, ცხადია – თითო წუთი.

### ხელების მასაჟი

ხელების მასაჟი გავლენას ახდენს შინაგან ორგანოთა მუშაობაზე. ასე, მაგალითად, ცერის მასაჟი აუმჯობესებს თავის ტვინის ფუნქციონირებას და მთლიანად, ორგანიზმისას. საჩვენებლის მასაჟი კუჭის მუშაობაზე მოქმედებს, შუათითისა – ნაწლავებისაზე, არათითისა – ღვიძლისაზე. ნეკა პირდაპირ კავშირშია გულთან. ტიბეტელი მკურნალები გვირჩევენ გულის შეტევისას სწორედ ნეკის ფრჩხილები ვიკვნიტოთ.

შეასრულეთ ეს მანიპულაციები და ნახავთ როგორი ოპტიმისტი და ხალისიანი გახდებით.

**ლერი ხეჩინაშვილი,**
**ამ მასაჟით განკურნებული,**
**82 წლისა.**

ხსოვნა

# თეიმურაზ ყენია



**ბერმუხასავით იდგა თეიმურაზ ყენია, 93 წლისა ისევ მხნედ იყო – საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა და ახალგაზრდებს შეჰხაროდა...**

**თუმცა, ვინ გაქცევია ყოველთა შემმუსვრელ სიკვდილს?.. და დაგვემშვიდობა ისიც, საქართველოს ვეტერინარიის ღვაწლმოსილი მოღვაწე, დამსახურებული ვეტექიმი, ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატი, სამშობლოზე, შვილებზე, შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული „საჭამიასერელი გურული"...**

**წავიდა კაცობითა და განათლებით გამორჩეული ინტელიგენტი, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება – ზოოვეტერინარული ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ – საქართველოში ვეტერინარიის დარგის განვითარებას შეალია, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მუშაობდა თბილისში, ბორჯომში, სიღნაღში... შემდეგ ისევ თბილისში – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტსამმართველოში ეპიზოოტოლოგიური განყოფილების უფროსად, საიდანაც გადაჰყავთ მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების და საინკუბატორო სადგურების ტრესტის მმართველად, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის მთავარი სამმართველოს უფროსად.**

**1973 წელს ბატონი თეიმურაზი იცავს დისერტაციას და ენიჭება ვეტმეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. 1975 წლიდან იგი საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტის სწავლული მდივანია. მისივე მონაწილეობით დამუშავდა და 1955 წელს პირველად დაინერგა საქართველოში თურქულის საწინაალმდეგო („ო" ტიპისძ ვაქცინა, იგი აგრეთვე არის თანამონაწილე თურქულის სავაქცინე შტამის (ლაგოდეხი „ო" 194ძ შერჩევაში, რაც მიიღო სავეტერინარო პრეპარატების საკონტროლო საკავშირო ინსტიტუტმა, რასაც ამჟამადაც იყენებენ ვაქცინის დასამზადებლად.**

**თეიმურაზ ყენიას დიდი წვლილი ჰქონდა სავეტერინარო სამსახურის სწორად ორგანიზების და პრაქტიკულად განხორციელების საქმეში. წლების განმავლობაში იგი შეთავსებით მუშაობდა ვეტმთავარსამმართველოში კონსულტანტად, იყო სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელი მდივანი, მისი მონაწილეობით მომზადდა და გამოიცა ვეტკანონმდებლობის I ტომი. ასაკის მიუხედავად წარმატებით მუშაობდა საქართველოს ზოოვეტუნივერსიტეტში ტუბერკულოზის შემსწავლელი განყოფილების მეცნიერ-თანამშრომლად, აგრეთვე სავეტერინარო კანონმდებლობის II ტომის შედგენა-გამოცემაზე. დამუშავებული და გამოქვეყნებული აქვს 30-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 სახელმძღვანელო. იგი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით.**

**წავიდა ქვეყნისა და საკუთარი ოჯახის წინაშე ვალმოხდილი პიროვნება, ბრძენი კაცი, მოსიყვარულე მამა და ბაბუა... წავიდა თავის უახლოეს ადამიანებთან...**

**კაცი კვდება, საქმე რჩება...**

**ნათელი დაგადგეთ, ბატონო თეიმურაზ!**

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

## განცხადება

**სააქციო საზოგადოება „გორგოტას" აქციონერთა №22 საერთო კრება გაიმართება 2011 წლის 29 მაისს დღის 12 საათზე, ქ. ხაშურში, ბორჯომის ქ. 2ა, სააქციო საზოგადოების ადმინისტრაციულ კორპუსში. აქციონერთა კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2011 წლის 28 აპრილი. კრების დღის წესრიგია:**

2010 სამეურნეო წლის შედეგების განხილვა:

– გენერალური დირექტორის ანგარიშის დამტკიცება;

– სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ანგარიშის დამტკიცება;

– 01.01.2011 წ. მდგომარეობით სარეზერვო ფონდის ნაშთის გამოყენების შესახებ დირექციისა და სამეთვალყურეო საბჭოს წინადადების განხილვა-დამტკიცება;

– დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა 2011 წლისათვის;

– სააქციო საზოგადოების ფუნქციონირებისა და მატერიალური ქონების ჩამოწერისა თუ განკარგვის წინადადებების განხილვა.

აქციონერებს კრების მიმდინარეობაში მონაწილეობის უფლების დადგენა შეუძლიათ სს „კავკასრეესტრში" ან სააქციო საზოგადოებაში, წინადადებები დღის წესრიგთან დაკავშირებით მიიღება კრებამდე არა უგვიანეს 10 დღისა.

**სააქციო საზოგადოების გენერალური დირექტორი**
**გ. ბერაია**

**დემურ გადელია ოჯახით ულრმესი მწუხარებით თანაუგრძნობს ივერი და გოჩა ჭელიძეებს შვილიშვილისა და შვილის, პატარა**

**ივერიკო ჭელიძის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

**ვიტალი ხაზარაძე ოჯახით ულრმესი მწუხარებით თანაუგრძნობს ივერი და გოჩა ჭელიძეებს შვილიშვილისა და შვილის, პატარა**

**ივერიკო ჭელიძის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" რედაქციის თანამშრომლები ულრმესი მწუხარებით უსამძიმრებენ ივერი და გოჩა ჭელიძეებს შვილიშვილისა და შვილის, პატარა**

**ივერიკო ჭელიძის**

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

**ნელი გურგენიძე, აბესალომ იმედაშვილი, გივი თალაკვაძე, შოთა დოლონაძე, მიხეილ გვათუა, მალხაზ კაკაბაძე, ზაურ დავითაშვილი მწუხარებით იუწყებიან, რომ თიესა ლესელიძეს გარდაეცვალა მეუღლე, ცნობილი ფარმაცევტი და საზოგადო მოღვაწე, უმწიკვლო პიროვნება**

**გურამ ხანთაძე**

**და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

## განცხადება

### სააქციო საზოგადოება „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" აქციონერთა მორიგი საერთო კრების მოწვევის შესახებ

**სს „ბეჭდვითი სიტყვის კომბინატის" სამეთვალყურეო საბჭოს 2011 წლის 20 აპრილის გადაწყვეტილების შესაბამისად ვიწვევთ აქციონერთა საერთო კრებას 2011 წლის 18 მაისს 18 საათზე. აქციონერთა კრება ჩატარდება საზოგადოების იურიდიულ მისამართზე: ქ. თბილისი, მარჯანიშვილის ქ. №5, სართული მე-3, ოთახი 309.**

**სააღრიცხვო დღედ განისაზღვრა 2011 წლის 26 აპრილი. აქციონერებს აქვთ შესაძლებლობა კრებაზე თავიანთი ხმის უფლება წინასწარ შეამოწმონ საზოგადოების დამოუკიდებელ რეგისტრატორთან – შპს „კავკასრეესტრი" (იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, 74ა, ტელ: +995 32 220749ძ.**

**აქციონერთა საერთო კრების დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის წლიური შედეგები დამტკიცება;

2. საზოგადოების მიერ განთავსებული აქციების (სახაზინო აქციებისძ გამოსყიდვა თანახმად „მეწარმეთა შესახებ" კანონის 53[1]-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად;

3. სახაზინო აქციების ნებადართულ აქციებად გამოცხადება და დირექტორატის განსაზღვრა ორგანოდ, რომელმაც უნდა უზრუნველყოს აქციების განთავსება, ხოლო თუ განთავსება არ განხორციელდება – საწესდებო კაპიტალის შემცირება აქციათა გაუქმებით.

4. საზოგადოების წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;

5. საზოგადოების მიერ აქციათა გამოსყიდვის მიზნით კრედიტების აღება;

6. საკრედიტო ვალდებულებების უზრუნველყოფა;

7. 2011 წლისათვის დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77;
899 32-85-76.

## განცხადება

**სს „ტრანსმშენის" დირექტორატი იწვევს აქციონერთა მორიგ საერთო კრებას, რომელიც გაიმართება 2011 წლის 30 მაისს დღის 11 საათზე მისამართზე: ქ. თბილისი, დოლიძის ქ. №2, მესამე სართული.**

**სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სააღრიცხვო თარიღად დადგენილია 2011 წ. 28 აპრილი.**

**დღის წესრიგი:**

1. 2010 წლის წლიური ანგარიშის დამტკიცება;

2. 2011 წლისათვის აუდიტორის არჩევა;

3. წმინდა მოგების გამოყენების შესახებ;

4. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების არჩევა;

5. სამეთვალყურეო საბჭოს შრომის ანაზღაურების შესახებ;

6. სხვადასხვა.

სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექტორების რეკომენდაციაა, რომ აქციონერებმა მხარი დაუჭირონ დღის წესრიგში აღნიშნული საკითხების დადებითად გადაწყვეტას.

**აქციონერებს საერთო კრებაზე მონაწილეობის უფლების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან – შპს „რეგისტრი", ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 74 ა, III სართ. ტელ: 23-01-09.**

**სს „ტრანსმშენის"**
**მმართველი დირექტორი**
**თ. კოტიშაძე**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## სულიერება

# ბრწყინვალე შვიდეული დაიწყო



**აღდგომის დღესასწაული ერთი კვირის მანძილზე გრძელდება, რომელსაც ბრწყინვალე შვიდეული ეწოდება. მისი თითოეული დღე განსაკუთრებული მადლითაა აღსავსე.**

**ტრადიციულად, ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს ვიხსენებთ მიცვალებულებს, გავდივართ საფლავებზე, თან მიგვაქვს პასქა და წითელი კვერცხები, მაგრამ ჩვენ მათ ვიხსენებთ არა იმიტომ, რომ განშორება ვიგლოვოთ, არამედ იმიტომ, რომ ვახაროთ მათ – „ქრისტე აღსდგა! თავისი სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და საფლავებსა შინა სიცოცხლე მიანიჭა!“**

სასულიერო პირების აზრით, თუ ადამიანს სწამს, რომ უფალი აღსდგა და სიკვდილი განაქარვა, მისთვის ამ სადღესასწაულო დღეებში მიცვალებულის დატირება და გლოვა დიდი ცოდვაა. განშორების მწუხარება ამ დღეს მეტად თავშეკავებულად უნდა გამოიხატოს.

ამ კვირაში ზიარებისათვის მომზადებაც შემსუბუქებულია: მარხვის დაცვა არაა საჭირო, ხორცის მიღება თვით ზიარების წინა დღესაც კი შეიძლება.

იცვლება მისალმების წესიც: აღდგომიდან 40 დღის განმავლობაში ქრისტიანები შეხვედრისას „გამარჯობის“ ნაცვლად ერთმანეთს ახარებენ: „ქრისტე აღსდგა“ – „ჭეშმარიტად აღსდგა!“

აღდგომის დღიდან მთელი ბრწყინვალე შვიდეულის მანძილზე ეკლესიებში კანკელის წინ დგას პატარა მაგიდა პურით, რომელიც საგანგებოდაა გამომცხვარი და არტოსი ეწოდება (არტოს – ბერძნ. პური). სადღესასწაულო დღეებში არტოსი განსაკუთრებული მადლით იმოსება და დიდი სიწმინდეა.

აღდგომის სწორზე – კვირაცხოვლობას, არტოსი მცირე ნაწილებად დაიჭრება და მორწმუნეებს დაურიგდება. ეს ნაჭერი უფრო მცირე ნაწილებად უნდა დავყოთ და მთელი წელი ვიმყოფინოთ: ავადმყოფობის ან სხვა განსაცდელის ჟამს უნდა მივიღოთ როგორც სულიერი წამალი საკურნებლად სულისა და ხორცისა. არტოსი წმიდა ადგილას უნდა შევინახოთ.

საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბათს საფლავთა კურთხევა და დიდუზობა აღნიშნა.

ამ დღეს მორწმუნეები მიცვალებულთა საფლავებზე გავიდნენ, რათა უფლის აღდგომა მათაც ახარონ.

ბრწყინვალე შვიდეულის ყველა დღეს ტაძრებში სადღესასწაულო ლიტურგია სრულდება და მორწმუნეებს ზიარების მიღების შესაძლებლობა აქვთ. აღდგომის შემდეგი კვირა მსგეფსია და მორწმუნეებს ყველანაირი პროდუქტის მიღება შეუძლიათ.

**ნატა ნიბლაძე**

## ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● კეისრის ბიოგრაფიის აღწერისას პლუტარქე წერდა: „არა! ადამიანს ყველაფერი ეცოტავება! კაცის ბუნება ასეთია, რომ ბედნიერებაც ვერ გააძღებს და დააკმაყოფილებს“.

● იმისათვის, რომ დაპყრობილი ქვეყნების მართვისას თარჯიმნებს არ მოეტყუებინათ, ჩინგიზ-ყაენი აიძულებდა თავის შვილებს, უცხო ენები შეესწავლათ.

● აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ ადამსი თეთრი სახლის პირველი მკვიდრი იყო.

● კომპოზიტორი ლიუდვიგ ვან ბეთჰოვენი ნაპოლეონს აღმერთებდა, მას ძმად, მამად მიიჩნევდა. ეგონა, რომ იგი ევროპას უტოპიის მსგავს სამყაროდ აქცევდა, მაგრამ როდესაც ნაპოლეონმა თავი იმპერატორად გამოაცხადა, კომპოზიტორმა ეს ღალატად მიიჩნია და მესამე, „გმირული“ სიმფონიის პარტიტურიდან მისი სახელი ამოშალა.

● დიდ ფილოსოფოს ფრიდრიხ ნიცშეს თავისი და უყვარდა.

● დიდი მეცნიერი ჯორდანო ბრუნო 1600 წლის 17 თებერვალს რვაწლიანი წამების შემდეგ კამპო დეი ფიორის (ყვავილების) მოედანზე სახალხოდ კოცონზე დაწვეს.

● 1940 წელს გამოვიდა წიგნი, რომელშიც პითაგორას თეორემის დამტკიცების 370 განსხვავებული ხერხი იყო მოცემული. ამ თეორემის დამტკიცების 370 ხერხიდან ერთ-ერთის ავტორი იყო აშშ-ის პრეზიდენტი ჯეიმს აბრამ გარფილდი (1831-1881 წ.წ.).

● შექსპირის აზრით, მსოფლიო სავსეა ქურდებით, მაგრამ „ყველა ქურდზე დიდ ქურდად“ ის მთვარეს მიიჩნევდა, რადგან მთვარე თავის სინათლეს მზეს პარავსო.

მოგვაწოდა
**ტიტე კოპალეიშვილმა**

## ინფორმაცია

# ვინ არის გურჩენკოს მემკვიდრე

**ლუდმილა გურჩენკოს ქალიშვილმა მარია კოროლიოვამ მემკვიდრეობის მისაღებად ცნობილი ადვოკატი შოთა გორგოძე დაიქირავა. კანონის შესაბამისად მას შეუძლია პრეტენზია ქონების 25%-ზე განაცხადოს.**

– ჯერ ზუსტდება მემკვიდრეთა წრე, არ შემიძლია ვთქვა, თუ რაზე ექნება პრეტენზია მარიას, მაგრამ, დაზუსტებით ვიტყვი, ყველაფერს ვილონებ, რომ ქონება სასამართლომდე დავაყადაღოთ, – განაცხადა ადვოკატმა.

მსახიობის მეუღლეს სერგეი სენინს არც თუ მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა მარიასთან. თუმცა ბოლო ხანებში შვილი და მამინაცვალი დროდადრო ურეკავენ ერთმანეთს.

ცნობილია, რომ სენინს აინტერესებდა მარიას გეგმები მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. ნათესავების ნაამბობით, ლუდმილა გურჩენკო შეძლებული ქალბატონი გახლდათ. მის საკუთრებაში იყო 15 მილიონ რუბლად შეფასებული ბინები მოსკოვში და 10 მილიონად შეფასებული აგარაკი.

– ახლა ძალინ ბევრი ცდილობს, ლაფში ამოსვაროს მარია ბორისის ასული, – აცხადებს გორგოძე და დასძენს, – მე მინდა აღვკვეთო ეს უმსგავსოება. დიახ, მარია იბრძოლებს მემკვიდრეობისთვის. მაგრამ, არა მისთვის, დამიჯერეთ მას არაფერი ჭირდება, არამედ შვილიშვილისთვის, რომელიც როგორც ორი წვეთი ისე ჰგავს დიდ ბებიას.

**ჯი-ეიჩ-ენი**

რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“
99-62-77;
899 32-85-76.
გ. ახვლედიანის ქ. №19.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6672 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3998 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7179 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9144 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.6346 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1479 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1473 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0749 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5928 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +10 – +16 |
| ქუთაისი. | +9 – +14 |
| ბათუმი. | +9 – +13 |
| ზუგდიდი. | +8 – +15 |
| თელავი. | +10 – +15 |

იყიდება, ქირავდება!
ბინა ატენის ქუჩაზე (№3, ვაკეძ ვრცელი ფართობი (180 კვმ.ძ საუკეთესო ადგილზე (ცხრასართულიანის ბელეტაჟი), გინდათ საცხოვრებლად, გინდათ საოფისედ (სარდაფით, გარაჟით). ფასი შეთანხმებით. დარეკეთ 230312 ან 899 537 616, 893 592 152.

ორგანიზაცია ბეჭდავს ჟურნალ-გაზეთებს მაღალი ხარისხითა და ზომიერი ფასებით.
868 838 858

## ანეკდოტები

– შეხედე შენს თავს! – საყვედურობს ქალი კაცს, – ამდენი წელია, ჩემს ბინაში ჩემს ხარჯზე ცხოვრობ, არც ერთი კაპიკი ჩემთვის არ მოგიცია, მაგრამ მე მაინც გაჭმევ, გაცმევ, გირეცხავ, არაფერს ვამბობ იმაზე, რომ საწოლშიც გიწვენ!

– და შენ მაინც ხელმოცარულს მეძახი?

* * *

წავიდა ივანიჩი სათევზაოდ. ერთ ანკესზე ჭიაყელა წამოაცვა და მდინარეში გადააგდო. მეორეზეც წამოაგო ჭიაყელა და ანკესი ზურგსუკან მოისროლა.

ერთმა ტიპმა ჩამოიარა და ეკითხება: „მდინარეში რომ გადაგიგდია ანკესი, გასაგებია, მაგრამ ეს, ზურგსუკან მიწაზე დაგდებული ანკესი რისი მაქნისია?!

– არ გეტყვი.

– მითხარი და ას გრამს ჩამოგისხამ.

მართლაც დაუსხა ტიპმა მეთევზეს ასი გრამი. მანაც გადაკრა და ეუბნება: „აი, ნახე, იმ ანკესს, მდინარეში რომ მიგდია, ჯერ არაფერი დაუჭერია, მეორემ კი უკვე მეხუთედ დაიჭირა ღლავი“.



* * *

– ალო, ვასკა! მალე მოდი, აქ ისეთი გოგოები არიან! ოღონდ არაყი წამოიღე... ალო, სერიოჟა! სასწრაფოდ მოდი, აქ იმდენი არაყია! ოღონდ გოგოები წამოიყვანე!

* * *

ისტორიის პროფესორი სტუდენტებს უხსნის, როგორ იცვლება დროთა განმავლობაში სილამაზის იდეალი და ამის საილუსტრაციოდ ასეთი მაგალითი მოჰყავს:

– მის ამერიკა-1921 ასსამოცი სანტიმეტრი სიმაღლისა იყო და სამოცდაათ კილოგრამს იწონიდა. როგორ ფიქრობთ, გაიმარჯვებდა იგი დღეს სილამაზის კონკურსში?

– ალბათ ვერა, – ამბობს ერთი სტუდენტი, – ძალიან მოხუცებული იქნება.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24